სახალხო გაზეთი

№ 161 სუთშაბათი, 18 ნოემბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 161

[illegible] ფასი: [illegible] სტრიქონი პირველ გვერდზე მეტრიით ღირს 15 კ., ბოლანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან [illegible] მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი მეტრით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამკლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 4 მ., საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტლ და ამხ-მის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვიხა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მოხსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—პირველის მოედანი

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში [illegible] ველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახავენ, ინახავენ ერთის თვით მხოლოდ დ. დი წერილები და ძოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნამუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრეს: Тифлисъ, Большая Ванкская ул. N 12, Семену Пашалашвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებითი ნომერი (ყვირილა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ეძლევა კვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანად: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 30 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

* * * *ხელის-მომწერთა საყურადღებოდ* * * *

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმოწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა დღეა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნამუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: **Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.**

ოხანა ქარუმიძისა, ლიზა გედევანოვისა, ეკატერინე გედევანოვისა თამარა გედევანოვისა და ირაკლი გედევანოვისა პირველის შვილისა, მეორის ძმისწულისა, მესამის რძალისა და მეოთხის დედისას—გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას (14 გიორგობისთვეს).

ბარბარე ილიას ასულის გედევანოვისას,

დაკრძალვა იქნება 18 გიორგობის თვეს ს. მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიაში. დილის 10 საათზე.

ნინო ჩხეიძის გასტროლი

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 23.

ხუთშაბათს, 18 ნოემბერს, 1910 წელს,

ნინო ჩხეიძის მონაწილეობით, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა:

„ივანოგის ღამე“

დრამა 4 მოქმედებად გ. ზუდერმანისა. თარგ. ვ. მალიკაშვილისა.

მონაწილეობენ ქ-ნნი: ლეონავა ფ., მოთამე, ჩერქეზიშვილი, ნ. ჩხეიძე, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: ზარდალიშვილი, მდივანი, მატარაძე, მგალობლიშვილი, მალიკაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადმინისტრაციის ქართ. დრ. საზოგადოება. რეჟისორი **ვ. მალიკაშვილი.**

ადგილების ფასი: გალერეია 20—40 კ.-მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. კუპონები ლოჟებში შეგირდებისთვის 50 კ.

დამსწრეთა საყურადღებოდ: თეატრის ადმინისტრაცია ამით ყველას აუწყებს, რომ მოქალაქეების დაწყების შემდეგ სათეატრო დარბაზში არავის არ შეუშვებენ, ამიტომ მესამე ზარის შემდეგ ყველანი თავ თავის ადგილზე უნდა იხდგენენ.

მზადდება წარმოსადგენად: „დალატი“, „მეუფეშა წყვდიადისა“, „ყარადები“.

ქ. ბათომში

სოლაპნის ამხ. და მ. გაჩეჩილაძის გამოცემული **კალენდრების** აგენტი—ვირგი მახარაძე. მის მეტს ბათომში, როგორც კალენდარი აგრეთვე ჯიბისა არავის ექნება გასასყიდი. მსურველს ვთხოვთ მიმართონ ბათომში **გიორგი მახარაძეს.** (3—219—3)

რ. ა. პოლტუგალოვისა

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან,

ოდესიდან და პეტერბურგიდან

დიდ ქალი

ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები,

იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

გაცვეთის აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოგვმული მაქვს საკოლეგიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ზიდზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. (50—57—39)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება

მოყოლილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო გახეოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება, დღეც და ღამეც.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედევანიშვილი ს. ბ. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

ბურკი გ. ბ. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარბონი ბ. ბ. კან. და ვენ., ყოველ-დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. ვ. შინ., სამშ. და საბ. 10—12 ს.

ქანდოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

ბენსეფეტოვი ვ. ს. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. ს. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირანდოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 12—1 ს.

ბაბოვი ვ. ა. კურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე 2—2-ნახ. ს.

ხიბლაძეგბაკი ვ. ვ. ქირურ., ყოველ-დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიური. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც ეხელმძღვანელებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რიგი ღირს 50 კ., საწოლები 2 ნახევრიდან დაწყებული. ოპერაციები, კონსულტაციები, ელექტრონი ნაკ., მასსაჟი, ავადმყოფის აცვა, ციძათა ექიმებმა და სხვა შედავათ. საფასურით. (200—5.—828)

მოითხოვეთ ახალი პაპიროსი

„ანფისა“

ფასი 15 ცალი 6 კაპ.
„ 25 „ 10 კაპ.

„მ ი რ ს“ ფაბრიკისა.

მიუხედავად იაფი და ყველასათვის მისაწვდომ ფასებისა, პაპიროსი „ანფისა“ შემზადებულია ძალიან ხარისხოვან და გემოვნების თამბაქოსაგან.

მიაქციეთ ყურადღება საუკეთესო ხარისხს და გემოვნებას. (15—150—12)

მოითხოვეთ ბუნებრივი

კახური ღვინოები

თავ. ალექ. მ. ჯორჯაძისა და ამხ-ს.

საკუთარ ვენახებიდან.

აწყობი მიხეილის პროსპექტზე, სახლი № 86; აგრეთვე ისყიდება საუკეთესო მაღაზიებსა და რესტორანებში ხელმისაწვდომ ფასად. (30—186—10)

ბუნებრივი კახური

ღვინოები

კარდენახის საუკეთესო ზვრებიდან

ამ. ხელაშვილებისა.

სარდაფი ნიკოლოზიხა და ნეგრასოვის კუთხის სახლში NN 14 და 11.
სარდაფში ინახება გარდა ახალისა ძველი, 6—7 წლის, ღვინოებიც.

ბოთლი 25 კ.-დან 1 მანეთამდე.

(20—195—9) **პატივისცემით—ამ. ხელაშვილი.**

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარეშან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის, ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ბ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

ბ. ნ. დიასამიძე—ყოველ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ს. ბ. ფელიციანოვი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ბ. ბოლოდი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ფერ-ნაოდოროვი ფ. ბ.—შინაგ. და ოპერაციები და კონსილიუმი მოიწვევა.

ე. ბ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მოიწვევა. (ფულ.—ნ.—491)

სამკურნალო

სპეციალიზტ სამშვიდრო ექიმებისა გარეგან მოსიარულე ავადმყოფთათვის. განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მანლოზლად, ტელეფონი N 482.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახმეტელი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 საათ.

ნოვიცკი—ბებია ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

უკლიდნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ბავშვ. ყოველ-დღე 3—4 საათამ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ. სულ. ელექტროტერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4— 5 საათ.

ხარაბ—ბავშვ. შინ. ყოვ.-დღე 12—1 ს.

ვესელოვსკოროვი ნ. ნ. ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. 2—3 საათ.

ოთხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ლიმონი—კბილის ავად. ყოველ-დღე 9—11 საათამ.

დ. ბ. მხიტარიანცი სიფ. ვენ. დილის 9½—10½ ს. ყოველ-დღე.

ფონდოვი—ნერვ. ელექტრო-ტერაპ., ყოველ-დღე 11—12 საათ.

ბატისოვი ნ. დ.—ბებ., ქალ., ყოველ-დღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათოშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—5.—22)

ექიმი **ბ. ნ. მაგაკიანი** შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (ბაზრგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 283. (100—ნალ.—82)

მასწავლებელი

ამზადებს შეგირდებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისათვის. ნახვა შეიძლება დილის 8—11 საათამდე და საღამოს 3—5 ს-მდე. ძიხაილოვის ქ. № 144. (25—162—24)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხეილ გედევანოვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. **გამინჯვა** და **გადადგება რენტგენის სხივებით.** ვერა, ყორღანოვის ქ. 20. (0—5.—84)

ექიმი **ჯ ა ფ ა რ ი ძ ე** ქ. ქუთაისში

იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვების და მინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ-დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიკარაძისა. (თ.—188—15)

ექიმი **შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის. გაბრეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ბუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ძოხგოვის ქ. N 4, სახლი ბაბაშვილისა (ფ)

ექიმი **ალ. ბ. ბილიხა** **სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. ბოლოგვინის პროსპ. N 12, სახლი ბედანიხა. (ფ)

ექიმი **ბილიხა** **ნინო რცხილაძე** იზმაილოვზე N 2. **გადავიდა** ვის ქუჩაზე N 4. **ი ღ ებ ს** ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე. და ხალამოს 5—8 საათამდე.

ექიმი **ე. ი. მინასიანცი.** სწამლობს შინაგან, საბავშვო და კეჟის ავადმყოფობას; პროფეს. ბორ Mathieu-სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ბლისაბედის ქუჩა N 39. (100—24)

ექიმი **რ. დ. მაჭავარიანი** იღებს ავათმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ბაგინოვის ქუჩა N 7. (თ.—180—33)

ექიმი **ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. (0—265)

ექიმი **ქ. ქუთაისში** **თ. ტყეშელაშვილი** დაბრუნდა ხაზოვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. იღებს მინაგან და სპეციალურად ვენერიულ ხიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ფირალოვის სახლი. (50—170—11)

ტფილისი, 18 ნოემბერი

ქართული ენა. ქართული ენა დიდს კრიზისს განიცდის. ვერ ვიტყვით, რომ იგი არ ვითარდებოდეს. ეხლანდელი ქართული ენა რომ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის ენას შეუდაროთ, აუცილებლად წარმატებას შეამჩნევთ. აზრთა გამოხატვა სიტყვებით უფრო მსუბუქად ხდება, და ეს კი საუკეთესო საბუთია ენის განვითარებისა. კლასიკური ქართული ენა, ენა შოთა რუსთაველისა და სხვა გამოჩენილ მწიგნობართა—დღესაც ჩვენთვის სამაგალითო ენად უნდა იყოს მიჩნეული; თუ დღევანდელს ქართულს ენას ამ კლასიკურს ენას დაუდარებთ, დიდს ცვლილებას შეავამჩნევთ; დავინახავთ, რომ დღევანდელს ქართულს ენას თავისი ბუნებრივი ხასიათი დაუკარგავს და რუსიციზმებით გაჟღენთილა. ენის დამახინჯება უცხო სიტყვათა გადმონერგვაში არ გამოიხატება. შესაფერს პიროობებში ამ უცხო სიტყვათა განდევნა მოსახერხებელია, არსებითად აქ შეუძლებელი არაფერია. გაცილებით უფრო ძნელია იმ ენის შეცვლა, რომელიც ქართულმა ენამ რუსიციზმის გავლენის ქვეშ მიიღო. რუსიციზმის გავლენა კი ძალიან დიდია. შეიცვალა თვით აზროვნება და ამ შეცვლილ აზროვნებას მოჰყვა სათანადო დალაგება სიტყვებისა და წინადადებისა; დღევანდელი ქართველი რუსულად აზროვნებს და რუსულად მოაზროვნე ადამიანს მხოლოდ რუსულ ენის წესების თანახმად შეუძლიან ჩაოაყალიბოს წინადადება.

მიუხედავად ყველა ამისა, მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნოებთან შედარებით, ქართულს ენას წარმატება დაემჩნია. იგი უფრო სადა გახდა, უფრო დაუახლოვდა ხალხურს გამოთქმას. ქართული ენა რომ რუსიციზმებიდან განთავისუფლდეს და დაიბრუნოს დაკარგული ფორმები აზრთა გამოსახვისა, იგი სავსებით დაუახლოვდება ხალხს და მისთვის გაციდებით უფრო ადვილი გასაგები გახდება. ამისათვის დიდი მუშაობაა საჭირო. წლებით მახინჯდებოდა ქართული ენა და დღესაც რუსულ კულტურის გავლენა, ცუდია იგი თუ კარგი, იმდენად ძლიერია, რომ, ქართველი ერთბაშად ვერ მოსპობს ამ ნაკლს. საჭიროა სისტემატიური მუშაობა პრესაში, საჭიროა სათანადო ცოდნის გავრცელება სასწავლებლებში და სხვ. მაგრამ უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ მიგვაჩნია საფუძვლიანი, თუ შეიძლება ასე ითქვას, საკანონმდებლო მუშაობა ქართულ ენის გასაუმჯობესებლად, აუცილებლად უნდა დაწესდეს ნორმები ქართულ აზრის გამოთქმისა და მოტივებისა და წინადადებების დალაგებისა. ამ ნორმების შემუშავება არც ისე ადვილია, როგორც ზოგიერთს შეიძლება ეჩვენოს ერთის შეხედვით. ამისათვის უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, დიდი წინასწარი მუშაობა, გადასინჯვა გრამატიკულ წესებისა, განხილვა ჩვენი კლასიკურ ნაწარმოებებისა, სტილის მხრით და სხვა.

ჩვენ გვგონია, რომ ეს შრომა ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა საზოგადოებამ უნდა იკისროს. მან უნდა დაარსოს განსაკუთრებული განყოფილება, რომელიც მხოლოდ ამ მიზანს ემსახურება. ცდა ძნელია, ენის გაუმჯობესება, ქართულ ენის გაქართულება ისეთი უცილობელი საჭიროებაა, რომ შორეულ დროსთვის გადადება ამ საქმისა შესაძლებლად არ მიგვაჩნია. ახლო მომავალში უნდა მოხდეს საზოგადო კრება ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებისა. კარგი იქნება, თუ საზოგადო კრებაზე, სხვათა შორის, ამ საკითხსაც განიხილავენ.

ლაპარაკები

ჟენევრ. დელეგატთა საკონფერენციაზე.

17 ნოემბერი.

საზღვარ-გარეთ

ბელგია. გაშლილ ცის ქვეშ უნიონისტებმა მანიფესტაცია მოაწყვეს. დაესწრო 20.000 კაცი ორატორებმა განაცხადეს, თუ ჰომრულ მიღებულ იქმნა, ისინი პროტესტს გამოაცხადებენ მითი, რომ გადასახადებზედ უარს იტყვიან და სხვა უფრო გადაჭრილს ნაბიჯსაც წარსდგამენ. გადასწყვიტეს, ძალით შეეწინააღმდეგონ ჰომრულის შემოღებას. შემოწირულებათ აგრ ივებენ; ჯერ ჯეროობით შეგროვდა 10.000 გირვანქა სტერლინგი.

თეირანი. ორის დღის განმავლობაში მინისტრთა საბჭო განიხილავს რუსეთის დესპანის წინადადებას, რომელიც მოითხოვს დაკმაყოფილებას კაშანში რუსეთის აგენტის სახლის ხელ-შეუხებლობის დარღვევისა გამო. გარეშე საქმეთა მინისტრის აზრით, კაშანში რუსეთის აგენტი არ უნდა იქმნას შეწყნარებული.

პარიზი. ვაჭარ-მრეწველთა, მიწად-მომქმედთა და პატრონთა სინდიკატებმა 4,000 წევრის თანადასწრებით გადასწყვიტა, საწინააღმდეგო ხმა მისცეს გადაჭარბებულ ფისკალურ კანონმდებლობის მონოპოლიის შესასებ; გამოთქმულია სურვილი შრომის თავისუფლების უზრუნველი-ყოფისა და საზოგადოებრივ სამუშაოთა ჯეროვანად მოწესრიგებისა. პუანკარემ თავის სიტყვაში ისურვა ყველა მეპატრონეთა საზოგადო კონფედერაცია.

სტამბოლი. დამთავრდა საფრანგეთის დესპანის მოლაპარაკება ოსმალეთთან ალჟირელთა საფრანგეთის მოქალაქეებად აღიარების შესახებ. წინდაწინის შეთანხმებით საფრანგეთის მოქალაქეებად ითვლება ყველა ალჟირელი იმათ გარდა, რომელნიც დასახლდნენ ოსმალეთში და აღიარებულ არიან ოსმალეთის ქვეშევრდომებად. ხელ-შეკრულობა ხელ-მოწერილ იქმნება პარიზში.

ოკლაგომა. (ჩრდილო ამერიკა) საქტაუსის მთა-მადნებში ანტელერსის ძახლობლად გაზის აფეთქებისაგან მოკვდა 14 კაცი.

სტამბოლი. ოსმალითის პროტესტს კრიტოსის თაობაზე სახელმწიფოებმა ის პასუხი გასცეს, რომ სულთანის უზენაესი უფლება დაცულ იქმნებაო.

ურმია. მოვიდა საელჩოს მმართველი გოლუბინოვი.

ბერლინი. ბოკსხაგენში ბერლინის ახლოს ბენზინის საწყობში აფეთქებისაგან ცეცხლი გაჩნდა, რომელიც გრძელდება. ზარალი რამდენისამე მილიონისაა.

რომი. დეპუტატთა პალატაში მუერიმ და კოტუნიემ მხურვალე სიტყვებით მოიხსენიეს ტოლსტოის გადაცვალება. საერო განათლების მინისტრმა კრედარომ შეაქო ტოლსტოი, როგორც ხელოვანი, მოაზრე და პედაგოგი.

ბერლინი. ბენზინის სადგომთა ცეცხლისაგან მიყენებული ზარალი 150.000 მარკას უდრის, რასაც სრულიად ჰფარავს დაზღვევის თანხა.

მადრიდი. მედინა-საამორავიგოს ლიანდაგზე გაიფიცნენ რკინის გზის მუშები, მუშაობა შესწყდა.

პარიზი. რკინის გზის სწორე სამსახურის უზრუნველმყოფელ კანონპროექტის თანახმად წაქეზებისა და ძალდატანებაში დამნაშავენი დაპატიმრებულ იქმნებიან 1 თვიდან 5 წლამდე, სამსახურზე უარის თქმისათვის—2 წლამდე. პროექტი თუმცა უკრძალავს გაფიცვაში მონაწილეობის მიღებას, მაინც საჭიროდ მიაჩნია სამედიატორიო პალატის კომისის

დაარსება უთანხმოების მოსასპობლად.

თეირანი. მეჯლისში შეტანილია პროექტი იმისა, რომ სპარსეთის მთავრობამ სესხი მიიღოს შაპინშას ბანკიდან. მთავრობამ მიიღოს 5 მილიონამდის თავისუფალი თანხა. არავითარი პოლიტიკური პირობა არ იქმნება დადებული.

ურმია. რუსის ქვეშევრდომი ვაჭრები იძულებული გახდნენ თავის საქონლის გადაზიდვა ხოისა და სარმასის გზით მიანდოთ ოსმალეთის ქვეშევრდომთ. დიდ ჯილდოსათვის ქარავნებს ოსმალეთის დარაჯები მიჰყვებიან.

ბუქარესტი. პარლამენტი გაიხსნა სეფე-სიტყვით, რომელსაც ოვაციით შეეგებნენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი შეეხო მიწის რეფორმასა, წვრილ საკუთრების დაარსებასა და სიმდიდრეთა მოგროვებას, ჯარსა და საერთაშორისო მდგომარეობას.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

ქვემო-ტაგილის ქარხანა. უცნობმა ბოროტ-გამზრახველებმა მოჰკლეს სადგომში 80 წლის ბებერი ჩერეპანოვის ქალი, მეორე ბებერი ქალი ნაცემი იპოვნეს. იგი საავადმყოფოში გაგზავნეს.

მიტავა. საოლქო სასამართლომ გრაფს შუვალოვის მამულების გამგეს ფორ-ბენიგსენს ტყის მცველ კომიტეტის გეგმის წინააღმდეგ თავისნებაზე ტყის გაყიდვისათვის გადაუწყვიტა ჯარიმა 11.368 მან. ანუ ციხეში დამწყვდევა ორის წლით; მეორე საქმისათვის კიდევ—1924 მან. ანუ ციხე 6 თვით.

უფა. საგუბერნიო საერობო გამგეობა შუამდგომლობს საერობო კრების წინაშე, დარსებული იქმნას ერთ-ერთს უნივერსიტეტში პიროგოვის სტიპენდია და გადადებულ იქმნას თანხა მოსკოვში პიროგოვის სახლის ასაგებად.

„ᲕᲝᲜᲖᲔᲜᲡᲙᲘᲡ ᲡᲢᲐᲜᲘᲪᲐ“ (ყუბანის ოლქი). ცეცხლი ჩააქრეს; დაიწვა 100 სახლი, 700 კაცი უბინაოდ დარჩა. საჭიროა დახმარება.

ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔᲕᲡᲙᲘ. ქალაქის საბჭომ საგანგებო სხდომაზე დაადგინა საჭირო ზომები მიიღოს აღმოსავლეთიდან შავი-ჭირის შემოსვლის წინააღმდეგ.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. სასამართლო პალატამ გააუქმა საოლქო სასამართლოს დადგენილება, რომლითაც აკადემიკოს სობოლევსკის გადაწყვეტილი ჰქონდა შვიდის დღის შინაური დაპატიმრება „პეტერბ. ვედომ.“-ში მოთავსებულ მის წერილისა გამო; ამ წერილისათვის პეტერბურგის უნივერსიტეტის გამგეობა მას ცილისწამებას აბრალებდა. პალატამ აკად. სობოლევსკი გაამართლა.

ᲐᲡᲢᲠᲐᲮᲐᲜᲘ. არა-ჩვეულებრივმა წყალდიდობამ წაიღო ზღვის განაპირა 7 სოფელი. ყინვებისა გამო დაზარალებულ მცხოვრებთა მდგომარეობა საშინელია.

ᲐᲡᲮᲐᲑᲐᲓᲘ. კრასნოვოდსკში ნავთსადგური ქარიშხალმა გაანადგურა, დაზიანებული ქალაქის შენობანი. ადამიანთა მსხვერპლნიც არიან.

ᲐᲡᲢᲠᲐᲮᲐᲜᲘ. ზღვის მგზავრთა გემმა „იმპერატრიცა ალექსანდრამ“, რომელიც ამ ჟამად პეტროვსკში მოვიდა, ბევრი ებრძოლა ქარიშხალს. გადარჩა 22 მეზღვაური; დაიღუპა 200 გადამყვანი ოფიცერი და ასზედ მეტი რუსი. ზარალი მილიონობითაა.

ᲢᲣᲚᲐ. საოლქო სასამართლომ, შემოიტანეს ტოლსტოის შინაური ანდერძი, მის საკუთარ ხელით დაწერილი, 22 ივნისს, 1910 წ. „იასნაია პოლიანაში“. ამ ანდერძით, ტოლსტოის ყველა ნაწარმოები, დაბეჭდილი 1881 წლამდე, აგრეთვე შემდეგ და დღემდის გამოქვეყნებული, ყველა ხელთნაწერი რჩება სრულ საკუთრებად მისს ქალს, ალექსანდრა ლევის ასულს, ხოლო მის სიკვდილის შემდეგ—ტატიანა ლევის ასულს. ანდერძი წარდგენილია ტოლსტოის სახელობის მიერ გამოცხადებითა და ხელის მოწერით. სასამართლო შეეკითხა ანდერძზე ხელის მომწერ მოწმეთ, რომელთა შორის გოლდენვეიზერიცაა. ანდერძი დაამტკიცეს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ

← გადასახლება. „დროების“ რედაქტორი ი. აგლაძე, რომელსაც სასამართლომ 1 წლითა და 2 თვით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტა, ამ სასჯელის მოხდის შემდეგ ორის წლით ადმინისტრატიულის წესით იქმნება გადასახლებული, ნამესტნიკის განკარგულების თანახმად. ამას გარდა გადასახლებულ იქმნებიან: გიორგი ლასხიშვილი 3 წლით, ს. ფირცხალავა, შ. ბილანიშვილი და ქაიხოსრო ქავთარაძე ხუთ-ხუთის წლით. დანარჩენთა ბედი გამოიკვეველია.

← ᲩᲮᲠᲔᲙᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ. გუშინ გასჩხრიკეს ქართულ გაზეთის „საქმე“ს რედაქცია და რამდენიმე კაცი დაპატიმრეს.

← ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲕᲔᲑᲐ. ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველოს სამინისტრომ მოსთხოვა ცნობები იმის შესახებ, რამდენად საჭიროა ჭიათურის რკინის გზის გაფართოვება და რამდენი ვაგონი მუშაობს წლის განმავლობაში ამ ვიწრო ლიანდაგზეო. ამ ცნობების მოთხოვნა გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ შავი ქვის საქმეთა გამო პეტერბურგში მოთათბირე კრებამ ხელახლა აღძრა საკითხი ამ ლიანდაგის გაფართოვების შესახებ.

← ᲬᲕᲠᲘᲚᲘᲡ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘᲡ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ. წვრილის კრედიტის საქმეთა ტფ. საგუბერნიო კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა უმაღლეს მთავრობის წინაშე 1911 წლის თებერვალში ტფილისში ამიერ კავკასიის წვრილის კრედიტის მოღვაწეთა კრების მოწვევის შესახებ. ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება ფინანსთა მინისტრს და წვრილის კრედიტის საქმეთა უმთავრეს გამგეს საჭიროდ უცვნიათ და ამ შუამდგომლობის საბოლოდ გადაწყვეტა ამ ჟამად დამოკიდებულია მხოლოდ-ღა კავკასიის ნამესტნიკზე.

← ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ-ᲧᲐᲠᲡᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲐ. ბორჯომ-ყარსის რკინის გზის გაყვანის საკითხს პეტერბურგში დიდის თანაგრძნობით მიჰგებებიან და მომავალ რკინის გზის გეგმის შესადგენად კავკასიაში უკვე წამოსულა ინჟენერი ვურცელი.

← ᲡᲐᲛᲫᲘᲛᲠᲘᲡ ᲓᲔᲞᲔᲨᲐ. ჩვენ მივიღეთ შემდეგი დეპეშა; „პეტერბურგის ბსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტის ქართველი სტუდენტები მძიმედ დაღონა ცნობილ საზოგადო მოღვაწის, საკაცობრიო იდეალებისათვის მებრძოლის გიორგის დეკანოზიშვილის ჯარდაცვალებამ“.

← ᲒᲝᲠᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲐᲓ ᲜᲐᲛᲧᲝᲤᲘᲡ Დ. Ი. ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ. კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ დაამტკიცა კავკასიის ნამესტნიკის საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ სამართალში იქმნეს მიცემული გორის მაზრის უფროსად ნამყოფი დ. ი. ბაქრაძე, რომელსაც სამსახურის დროს ბოროტმოქმედებათა ჩადენა ბრალდება.

← ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲬᲘᲠᲕᲐ. განსვენებულის მარიამ ზაქარიას ასულის ეგაძის (თ.-ად. ამილახვრის ქალის) მემკვიდრეებმა, თავად ფალავანდიშვილებმა, მის მეულლის, დავით ეგაძის შეთანხმებით, სათავად. აზნაურო გიმნაზიას შესწირეს სოფელ ჭალის მამულები (სახნავ-სათესი და ტყე), სამოც დესეტინამდე, გარდა იმ სახლისა და ვენახისა, რომელიც ამას წინად ბ-ნმა ეგაძემ განსვენებულის სახსოვრად შესწირა.

← ᲔᲠᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲡᲕᲚᲐ. გუშინ ტფილისიდან თავიანთს ეპარქიებში გაემგზავრნენ ეპისკოპოსები: კავკასისა—აგაპიდი, პიატიგორსკისა—არსენი, იმერეთისა—გიორგი, სოხუმისა—დიმიტრი და გურია-სამეგრელოსი—ლეონიდი, რომელნიც ტფილისში, 14 ნოემბერს, კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების იუბილეს დაესწრნენ.

← ᲥᲐᲚᲗᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ. კურსების გამგეობამ დაადგინა მომავალ სამოსწავლო წელს ლექციების წასაკითხად მოიწვიოს ტფ. სახელოსნო სასწავლებლის დირექტორი აკუნოვი და ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი სტრატონოვი, პირველმა ლექციები უნდა წაიკითხოს ფიზიკურ ქიმიაზე, ხოლო მეორე—ასტრონომიაზე.

← ᲙᲠᲔᲑᲐ. დღეს, 18 ნოემბერს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობის წევრი ამორიგი კრება მოჰხდება მიმდინარე საქმეთა განსახილველად.

← ᲔᲥᲡᲐᲠᲮᲝᲡᲘᲡ ᲬᲐᲡᲕᲚᲐ. საქართველოს ექსარხოსი ინოკენტი პეტერბურგს გაემგზავრა. როგორც გადმოგვცეს, ექსარხოსი იქ მოხსენებას წარადგენს კავკასიაში მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების 50 წლის არსებობის აღსანიშნავად გამართულს დღესასწაულის შესახებ.

← ᲢᲤ. ᲤᲣᲜᲘᲙᲣᲚᲔᲠᲘ. ტფ. საელექტრონო ფუნიკულერის გამგეობას ამ დღეებში კრება ჰქონდა და დაადგინა, კვირა-უქმე დღეებში მამა-დავითის მთაზე ფუნიკულერი ამუშაოს დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

← ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ. დღეს ქართულს თეატრში, ¡მსახიობის ქალის ნინო ჩხეიძის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქმნება ზუდერმანის დრამა „ივანობის ღამე“.

← ᲥᲣ ᲣᲐᲠᲓᲠᲝᲞᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐ. 16 ნოემბერს ქართულ თეატრში საღამო-მეჯლისზე დამსწრე საზოგადოებამ, აკაკის წინადადებით, ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულ მარჯორი უარდროპის ხსოვნას, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველ საზოგადოების წინაშე. საღამო მეჯლისს განსვენებულის ძმაც დაესწრო.

← ᲚᲔᲥᲪᲘᲐ. 21 ნოემბერს მ. ა. ჯაბარი სახალხო სახლში წაიკითხავს ლექციას შემდეგს თემაზე: „სოციალური დანიშნულება ქალაქებისა“. დასაწყისი ნაშუადღევის 1 საათზე.

← 16 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ კარბოლის სიმყარით თავი მოიწამლა გრიგოლ გიორგას-ძე თვალდაშვილმა, მოწამლული მიხეილის სასოფლოში გაგზავნეს.

← 16 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲛ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ შეაპყრო 40 უპასპორტო.

ᲢᲝᲚᲡᲢᲝᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ

(ᲩᲐᲒᲣᲗᲐᲠ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ)

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 8 ნოემბ. უნივერსიტეტში.

8 ნოემბერი, ყველასათვის არა ჩვეულებრივი დღეა განსაკუთრებით არა ჩვეულებრივი იყო სტუდენტობისთვისაც. რამდენიმე ათასმა სტუდენტმა უნივერსიტეტის დარბაზში მოიყარა თავი. უნდა გადაეწყვიტათ, რა სახით, როგორ შეხვედროდნენ სამგლოვიარო დღეს, როგორ გამოხმაურებოდნენ საერთო მწუხარებას. წარმოითქვა რამდენიმე მომენტის შესაფერი სიტყვა და ყოველს სიტყვას მთელი სტუდენტობა „მუნჯის დუმილით“ ხვდებოდა. აქაც დუმილმა მოიცვა მთელი დამსწრე ახალგაზდობა და არავის სურდა ღვთაებრივი, დიადი სიჩუმე დაერღვია ტაშის ცემით. თითქოს ტოლსტოის სახელის გარშემო ყველა უნდა გრძნობდესო, მხოლოდ გრძნობდეს მომენტის სიდიადეს, მის ძალას და ეს გრძნობა ჩვეულებრივად არ უნდა გამოიხატოს, არ უნდ. და გამოისახოს შაბლონურ ფორმაში, რადგანაც მაშინ ეკარგება მას აზრი და სიმშვენიერე. ბოლოს შემუშავეს დეპეშის ტექსტი, რომელიც გაეგზავნა ვ. ბ. ჩერტკოვს. ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე საკითხი გადასწყდა და მთელმა დამსწრე სტუდენტობამ ერთად, „საუკუნო ხსენება“ იგალობა. მწუხარე და ძლიერი ხმა ჯერ მთელ დარბაზში ერთის თალიდან მეორემდი გადაგორდა და შემდეგ ¡მთელი შენობა მოიცვა. გალობითვე ჩამოვიდნენ შესასვლელ კარებამდი და შემდეგ დარბაზი დაცალიერდა.

ᲫᲣᲠᲩᲐᲨᲘ, (8 ნოემბ.)

როდესაც დარბაზიდან გამოვიდნენ, ათასამდე სტუდენტი გაემართა ნიკოლოზის ხიდისკენ გალობითვე. უცებ, თითქოს მიწიდან, დაიბადა იქვე ცხენოსან პოლიციელთა რაზმი. დაუარეს პროცესიას წინიდან და შეჭრეს ხიდი. ხიდზე მოძრაობა შესწყდა, პოლიციელებმა წინადადება მისცეს სტუდენტობას, დაშლილიყვნენ. მოვიდნენ ავრეთვე სტუდენტობის დასამშვიდებლად, რექტორი და პროორექტორი, რომელნიც, სანამ სტუდენტობა არ დაიშალა, არ წასულან მოედნიდან. შეტაკება არ მომხდარა, თუმცა საკმარისი იყო მცირე მიზეზი, რომ სისხლის წინააღმდეგ მებრძოლ ადამიანის სამგლოვიარო დღე, სისხლით განბანილიყო.

9 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ.

მთელ ქალაქში მეფობს არა ჩვეულებრივი მყუდროება, რომელშიაც საშინელი ძალა იხატება. ყველა მგლოვიარეა. ყოველი საზოგადოება, ყოველი წრე უერთებს თავის ხმას საერთო მწუხარებას... აუარებელი ხალხი გაემართა მოსკოვსა და „იასნაია პოლიანასკენ“. სადგურზე საშინელი აურზაურია. ყველა მიეჩქარება, ყველას სურს მალე იმ პროცესიაში ჩაერიოს, რომელიც ტოლსტოის ცხედარს უკანასკნელ სადგომისაკენ მიასვენებს.

ᲜᲘᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲘ. (ᲡᲝᲛᲮᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡᲗᲐᲜ).

ყველა მართმადიდებელთა ეკლესიაში პანაშვიდი აკრძალა უწმინდესმა სინოდმა. მხოლოდ იქ შეიძლება მისი გადახდა, სადაც ტოლსტოის განდევნა ეკლესიიდან საგალობებულო არ არის და სარწმუნოება ნებას აძლევს. ასეთ ეკლესიად ამ შემთხვევაში სომეხ-გრიგორიანთა საყდარია ნევის პროსპექტზე. ამ საყდართან აუარებელმა ხალხმ

ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓ

უკვდავი აზრი ცხოვრების
ეპოვე არაგვის პირადა,
როს მთვარე ამოდიოდა,
ბულბული ჰკვნესდა ტკბილადა.
არაგვის ლაღი ტალღანი
მორბოდნენ, მოკისკასობდნენ
და მობიბინე ნაპირებს
უცხო სიმღერით ამკობდნენ.
მეწვივნენ ფიქრნი და მკითხეს:
რა არის ადამიანი,
რისთვის მოსულა, სად მიდის
საბრალო, მოკლე-დღიანი?
მე გადავხედე მიდამოს
ხუჭუჭა ტყიან სერებით,
და ვუპასუხე ამაყად:
რომ დასტკბეს-მეთქი მშვენებით.
ხომ ჰხედავთ მთვარეს გავსილსა,
ქვეყნად სხივების მფრქვეველსა,
მშვენიერ მთებსა, ველებსა
და ნიავს, ყვავილთ მრხეველსა?
ხომ ჰხედავთ არაგვს მომღერალს
მწვანე ნაპირია მქექარსა,
მთებს, მოკაზმულსა პატარძლებს,
ვარსკვლავებს, დამის მთევარსა?
შეჰხედეთ მშვენიერებას,
ბუნების ჰარმონიასა,
ადაფრთოვანებს დიდებით
ადამიანს და ჭიასა...
მე მისთვის ვსცოცხლობ ამ ქვეყნად,
მისთვის ვარ მოვლინებული,
მას ვეტრფი, მასთან მოვკვდები,
მის გულში დაბადებული!..

ი. მჭედლიშვილი.

ᲛᲪᲘᲠᲔ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ

ბევრი რამ მაკვირვებს ჩვენს ცხოვრებაში და ერთი უფრო ყველაზე მეტად: რა ამბავია ეს ამოდენა ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა რუსულ ენაზე ქართველების მიერ? რის ნიშანია ეს? რას მოასწავებს? რა აზრი აქვს ასეთს საქციელს? უაზროდ მოქმედება ხომ არ ეკადრება და არც ეპატივება არავის, მით უმეტეს ინტელიგენციას. აქვს ამ ვაჟბატონებს აზრი? იციან კარგად რას აკეთებენ, ან რას აფუჭებენ? უფიქრიათ როდისმე კარგად, ღრმად ამ საგანზე? არა მგონია.

სათითაოდ რომ ელაპარაკო ამ ადამიანებს მხურავლე მამულიშვილობას იჩენენ, გული შესტკივათ საშშობლოსათვის; აღარ დაგაცლიან და თავადვე დაგიწყებენ მტკიცებას, რომ ჩვენი მწერლობა უნდა აყვავდეს, რომ იგი დაცემულია, რომ დედა-ენა უნდა გავრცელდეს, განვითარდეს, რადგან იგი ათვალისწუნებულია, რომ თუ სხვა ყველაფერი დავკარგეთ, ზნეობა, გრძნობა მამულიშვილობისა, სიმტკიცე რწმენაში, იდეალი მაინც არ უნდა დავკარგოთო. იმდენს „რომს“-ნაცვალ სახელს ატანენ თავის საუბარში, აქ რომიც კი მოაგონდებათ და მიგვითითებენ იქაურ პატრებზე, რომელნიც იღწვიან მედგრად ქართული ენის და მწიგნობრობის ასაყვავებლად და ისეთს სქელ ქართულ წიგნებს ჰბეჭდავენ, ჩვენ დედა-ქალაქში, შუაგულ საქართველოში, იმის მეასედი ვერ მოგვიხერხებია. საქმით ჰხედავ და სულ სხვანი არიან: როგორ სხვანი? ისე, რომ თავის დედა-ენას, თავიანთ ქვეყანას, ძირს უთხრიან, ფესვებს აჭრიან; ოფლში იწურებიან იმოდენასა სწერენ რუსულად მხოლოდ და მერე როგორ ცდილობენ, რომ ლამაზი რუსულით და სწერონ თავის წერილები: რუსეთის საუკეთესო მწერლების ფრაზების ლექსიკონი აქვს ყველა იმათ შედგენილი რათა კოხტა, კოპწია გამოვიდეს იქათი ნაწერი, — წაიკითხოს ქართველმა კაცმა, გულში შური აღეძრას და თქვას: ნეტავი ამისთანა რუსული მეც მასწავლა, ნეტავი ამისთანა „სტატია“ რუსულად მეც დამაწერინაო. მოკლედ რომ ვსთქვათ მკითხველი გადაბირების გზაზე დგება... ამისთანა, ლამაზი რუსულის ენის პატრონი მწერალი კი ფიქრობს საშშობლოს ვემსახურებიო. ვაი ამისთანა სამსახურს! ამას ჰქვიან განა სამშობლოს სიყვარული? გახა ამისთანა ოინებით აყვავდება ქართული ენა და მწერლობა? განა ეს ღვაწლია? ღვაწლი კი არა, ეს პირდაპირ ღალატია, თაღლითობაა! ამასა ჰქვიან ციხისა შიგნიდან გატეხა და, ხომ მოგეხსენებათ, იმაზე მეტი უბედურება ქვეყნისათვის სხვა არ შეიძლება იყოს, როგორც ღალატი შინიდან გამომდინარე. ამ გვარი მოღვაწეობა არის პირდაპირ გამრყვნელი ახალთაობისა, რომელთა სულიც ახალად იფურჩნება და რომ კარგად აყვავდეს და ნაყოფი გამოიღოს, მშობელი დედის რძე ესაჭიროება, მშობლური ხმები, სამშობლოს სიყვარული და იდეალი იმისა, რომ იგი უნდა ოდესმე გახდეს მუშაკი თავის ქვეყნისა, თავის ერისა ნაზი სიყვარული თავის დედა-ენისა მისი მოაზრე, მის ტირილების მოზარე და ჭირისუფალი.

ჩვენი მწერლები, ჩვენი მწერლობა უპირველესად ყოვლისა ამას უნდა ემსახურებოდეს და არ უნერგავდეს ახალგაზდობას ორჭოფ გრძნობას, ორჭოფ მიმართულებას. ამ გვარ მერუსულეობას ის აუცილებელი ნაყოფი მოაქვს, რომ, რასაც ჩვენი საუკეთესო მწერლები, პოეტები აშენებენ, ასეთი მწერლობა იმას არღვევს. ჰფუშავს, განა ეხლა, იმ თავითვე, როდესაც პირველად ჩვენში, რუსულად გაზეთი გამოიცა ქართველის მიერ. სწორედ ამისთანა მწერლობის ბრალია, რომ დღეს ჩვენში ცალკე ჯგუფიც კი არის მახინჯი ინტერნაციონალიზმის გამომხატველი... იმ თავითვე ჩვენს საუკეთესო კაცებს, საუკეთესო მოაზრეებს და ერთგულ მამულიშვილებს სამავნებლოდ მიაჩნდათ თავის ქვეყნისათვის ამგვარი მიმართულება და იმიტომ, შორს, გვერდზე უვლიდნენ... ნუ თუ ილია ჭავჭავაძეს არ შეეძლო რუსული გაზეთი გამოეცა. ეწერა რუსულად და ესაზრდოვებინა თავის ნაწარმოებით, ქართველი საზოგადოება, როგორც მისი თანამედროვენი შვრებოდნენ? მაგრამ არა, ის კარგად ჰხედავდა, ჰგრძნობდა, რაც ვნება და გათახსირება საზოგადოებისა მოჰყვებოდა ამგვარ მწერლობას. რა იქნებოდა, ვსთქვათ, ასე, ილია ჭავჭავაძეს, ალექსანდრე ჭავჭავაძეს, გრ. ორბელიანს, ნიკო ბარათაშვილს, აკაკი წერეთელს რუსულ ენაზე ჰქონდეთ დაწერილი თაკიანთი თხზულებები? რა იქნებოდა დიდებულ შოთას „ვეფხვის ტყაოსანიც“, რომ რუსულ ან თათრულ ენაზე დაწერილიყო? ჩვენთვის განა ის მნიშვნელობა ექნებოდა, რაც დღესა აქვს. მთლა მასრადინას რომ სტამბოლში ფლავი ედგას წინ სინით, ტფილისში მე რა, ან შენ მკითხველო? მე რუსულ მეგაზეთე ქართველის მოღვაწეობას სხვათა შორის, თალიმოპას აი რა მოსაზრებით ვეძახი? იმ მოსაზრებით, რომ რუსულმა გაზეთებმა, წაართვეს მკითხველები ჩვენს, ქართულ გაზეთებს, წაართვეს ჰაშასადამე, თაყვანისმცემელი შშობელ ენას, ჩამოაცალეს მოწაფეები შშობელ კერას, სათავისო საქმეს. ეს იდეიური ზარალი. ნივთიერი ზარალი ხომ თავის თავად აშკარავდება, ვინადგან ქართულ-გაზეთს აკლდება ხელის მომწერი, მაშასადამე ნივთიერად სუსტდება და ველარ ასაზდოვებს იმათ, ვინც ნამდვილ სამსახურს უწევს შშობელ ქვეყანას, ქართულ მწერლობას, ვერ აწვდის იმათ საზრდოს, რომ ხალისიანად, უფრო ნაყოფიერად იმუშაონ და აკეთონ მართლა და საქვეყნო, სასარგებლო საქმე, რისგამოც ბევრს გული უტყდება, ან სამსახურში შედის, ან მერესულების ბანაკში გადადის და ვინც შეჰრჩება ჭირისუფლად ქართულ-ჟურნალ გაზეთობას და სულის სიძლიერე, ხასიათის სიმტკიცე, არ აძლევს გაქცევის ნებას,—ის გაძვალ-ტყავებული, შშიერტიტველი ეწევა მწერლის ჭაპანს. ეს მეორე ზარალი, რომელსაც შედეგად საუკეთესო ადამიანთა ტანჯვა-წვალება და სიცოცხლით ჯოჯოხეთში ყოფნა მოსდევს. ნუთუ ბატონებო, ამაზე არ გიფიქრიათ? არ წარმოგიდგენიათ არა დროს რომ თქვენ, თქვენის უტიფარის მოქმედებით, როგორც დედა ენას, ისე საუკეთესო ქართველ მოღვაწეთ ჰხოცავთ სისტემატიურად? ამაზე გიფიქრიათ როდისმე? ამას დაჰკვირვებიხართ? ეს მოვლენა აგიწონ-დაგიწონიათ?.. ვგონებ არ შეგიგნიათ, თორემ, როგორ დავიჯერო, რომ ხელს არ აიღებდით მაგ სახიფათო მოღვაწეობაზე.

ჩემი ნათქვამი სეპარატიზმად, შოვინიზმად არ ჩამომართვათ, რადგან არც ერთი და არც მეორე ჩვენთვის ხელ-საყრელი არ არის, არამედ გაიგოს ისე, რომ საქართველო რუსეთის სხეულში, ორგანიზმში კი არ უნდა იყოს გათქვეფილი, როგორც უსულო სანოვაგე, არამედ მას ედგეს გვერდით, როგორც ცოცხალი, საღი არსება რუსეთთან ერთად მოსიარულე პროგრესის გზაზე, თავის თავის მცნობელი, თავის თავისა და კარგის მგრძნობელი. ეს კი ყოვლად შეუძლებელია, თუ ის დაბრკოლებანი არ ავიცილეთ თავიდან, რაც ზევით აღვნიშნეთ...

სკოლაო, წინად და დღესაც საუკეთესო ადამიანები რუსეთისა გიჟდახიან, უნდა იყოს ეროვნული, ვინაიდგან მაშინ მიაღწევს იგი თავის დანიშნულებას, მაშინ აღზრდის ნამდვილ ადამიანებსო.

მწერლობაც ნუ თუ იგივე სკოლა არ არის, რომელიც სწვრთნის ყველას დიდს და პატარას, ურკვევს აზრებს, გზას ცხოვრებისას, აღძრავს საუკეთესო გრძნობებს,—მაშ ის რატომ აღარ უნდა იყოს ეროვნული? რატომ არ უნდა უწყობდეს ხელს განავითაროს ერმა თავის გონებრივი და სულიერი ძალები?

ვიგლახ, რომ ჩვენში წინააღმდეგს ვხედავთ

ვეფხ-ფშაველა.

ქოიყარა თავი. სჯარბობდა სტუდენტობა, საერთოდ მოსწავლე ახალგაზდობა. მალე გავლაც შეუძლებელი გახდა, იმდენი ხალხი მოგროვდა. პოლიციამ საშიშოდ დაინახა ასეთი თავის მოყრა და წინადადება მისცა შეკრებილთ დაშლილიყვნენ. საქმე მათრახამდის მივიდა. ხალხი ისევ ისე ჩვეულებრივად, ჩუმად შეხვდა პოლიციას და ჩუმადვე დაიშალა. თითქოს მისთვის ამ დღეებში არაფერი არსებობს გარდა ტოლსტოის სახელისა, რომელსაც არ შეურაცყოფს ჩვეულებრივ მოქმედებით. ამის შემდეგ სტუდენტობამ თავი სასადილოში მოიყარა და უნდოდათ კრების გამართვა, მაგრამ სასადილოს გამგე სტუდენტთა კომიტეტის თხოვნით დაიშალნენ. პოლიციამ გაიგო ასეთი სურვილის არსებობა და სასადილო 4 საათზე დაკეტა. სტუდენტები გამოვიდნენ მოედანზე და არ იშლებოდნენ. აქაც გაჩნდნენ უცებ ცხენოსანი პოლიციელნი და სთხოვეს სტუდენტებს დაშლილიყვნენ. ერთი მოზდილი ნაწილი უნივერსიტეტის ეზოში შევიდა გალობით, ქუდ-მოხდილი. პოლიციელებმა დროზე შეუშალეს ხელი ყველას ეზოში შეგროვებას და კარებში გაჩერდნენ. დანარჩენი ნაწილი მალე დაიშალა, ისევ ისე დინჯად, აუღელვებლად და ჩუმად. მოედანი მალე დაცალიერდა.

ქართველი სტუდენტობა.

საერთო მწუხარებას, ქართველ სტუდენტობამაც შეუერთა თავისი ხმა და ტოლსტოის მეგობარს ვ. გ. ჩერტკოვს სამგლოვიარო დეპეშა გაუგზავნა.

10 ნოემბერი.

სამგლოვიარო დღეები უკვე მრისხანე ხასიათს იღებს სტუდენტობაში; საკითხი თანდათან პოლიტიკურ ნიადაგზე გადადის.

დღეს, 10 ნოემბერს, უნივერსიტეტის მთავრობამ კრების ნება არ ართო სტუდენტობას და ამათ გამართეს ნება-დაურთველი კრება. დარბაზი სტუდენტებით აივსო: ერთ ორატორს ტრიბუნაზე მეორე სცვლის. საკითხი სიკვდილით დასჯას შეეხება. მიღებულ იქმნა ისეთი რეზოლიუცია, რომლის სისრულეში მოყვანა დიდ გართულებას და შეტაკებასაც-კი გამოიწვევს. რეზოლუცია ასეთია: სან-პეტ. უნივ. სტუდენტობა აცხადებს სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ დემონსტრაციას, ხვალ, 11 ნოემბერს, ნევის პროსპექტზე პირველ საათს. ეს უნდა ეცნობოს ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციებს და პეტერბურგის პროლეტარიატს, აგრეთვე ოპოზიციას სახელმწიფო სათათბიროში.

ამ რიგად ხვალ, 11 ნოემბერს, მოხდება დამონსტრაცია ნევის პროსპექტზე. შედეგი თუ რა იქნება, ადვილი წარმოსადგენია. უნივერსიტეტს ცხენოსანი და ქვეითი პოლიციელნი სდარაჯობენ. სტუდენტების ფორმაში ვინც არ არის, იმას არც ერთს არ უშვებენ პოლიციელნი უნივერსიტეტის შენობაში.

ძნელი გამოსაცნობია, რითი გათავდება საერთოდ ეს ყველაფერი. ჰაერი თანდათან მძიმდება და შეიძლება მალე მეხიც გავარდეს

შოთა დ—იანი.

კ ი ე ვ ი

კვირა დღეა, სასწავლებლები დახურულია. ქუჩებზედ გაჩნდა პატარა შავით შემოხაზული გაზეთების საგანგებო დამატება, რომელიც ლ. ტოლსტოის მიცვალების ამბავს იტყობინება. საათის თერთმეტზედ შეიკრიბა სტუდენტობა უნივერსიტეტთან, უნდოდათ უნივერსიტეტში კრება მოეხდინათ, მაგრამ შიგ არ შეუშვეს. ჩქარა მოვიდა პოლიცია და დაშალა ისინი. შემდეგ სტუდენტობამ გადასწყვიტა ნიკოლოზის ბაღში, რომელიც უნივერსიტეტის წინა სძევს, შეკრებილიყვნენ საათის სამზედ. აქვე უნდა მოსულიყვნენ სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებიც, მაგრამ არც ეს მოხდა, რადგანაც პოლიციამ ბაღი დაკეტა და ყველა კარებთან პოლიციელთა ჯგუფები დაყენა. უნივერსიტეტის ახლო მახლო მთელი დღე ცხენოსანი ყაზახები დარაჯები დადიოდნენ. ამ დღეს კრება მოახერხეს მხოლოდ ქალთა მედიკურ ინსტიტუტის მსმენელებმა თვით ინსტიტუტშივე. კრებაზე წარმოთქმული იქმნა სიტყვები, პატივი სცეს ტოლსტოის ხსოვნას ფეხზედ ადგომით, გაუგზავნეს სამგლოვიარო დეპეშა მისს ოჯახობას და გაგზავნეს ორი დელეგატი დასაფლავებაზედ დასასწრებლად. დელეგაციები ამავე დღეს გაგზავნეს აგრეთვე „პერიოდულ გამოცემათა და ლიტერატ. მოღვაწ. საზოგადოებამ“, „საზოგადო საკრებულომ“, „კომერციულმა ინსტიტუტმა“ და ბევრ. სხვ.

8, 9 და 10 ნოემბრის გაზეთები შავი ზოლებით გამოვიდა და „ტოლსტოის ხსოვნას“ ზედწარწერით. გაზეთებში წერილები, ამბები და დეპეშებიც, თითო-ოროლას გარდა, მხოლოდ ტოლსტოის შესახებაა.

8 ნოემბერს დილითვე დიდი მოძრაობა იყო ქალაქში. ყველგან მრავლად იდგნენ პოლიცია, ყაზახები და ჯარის-კაცები. დილითვე შესდგა კრებები ყველა უმაღლესს სასწავლებლებში; კრების შემდეგ ყველა უმაღლესი სასწავლებელის სტუდენტობა და კურსისტი ქალები გაემართნენ უნივერსიტეტისკენ. დილის 11 საათზედ ქალთა უმაღლეს კურსების მსმენელები გამოვიდნენ კურსიბიდან და „საუკუნოდ იყოს ხსენება შენის“ გალობით გაემართნენ ფუნდუკლეევის ქუჩით უნივერსიტეტისკენ, მაგრამ პოლიციამ და ცხენოსანმა არტილერისტებმა გაფანტეს ისინი, რომლის შემდეგაც მხოლოდ ცალ-ცალკე ჯგუფებად მივიდნენ უნივერსიტეტთან. უნივერსიტეტში სტუდენტობა თავს იყრიდა დილიდანვე. უნივერსიტეტის ახლო-მახლო და თვით უნივერსიტეტის კედლებზედაც ყველგან განცხადება იყო გაკრული, სადაც რექტორი აცხადებდა, რომ რადგანაც დღეს 11 საათზედ დანიშნულია პროფესორთა საბჭოს კრება იმ საკითხის გასასინჯად, თუ რითი სცენ პატივი ტოლსტოის ხსოვნას, ლექციები არ შესდგებაო. უნივერსიტეტის შესავალთან იდგა ორი ცხენოსანი დარაჯი და ორი ხიშტიანი ჯარის-კაცი, თუმცა სტუდენტებს უნივერსიტეტში ყველას უშვებდნენ. ასევე იყო შიგ უნივერსიტეტშიც. ყოველ აუდიტორიასთან იდგა ორი დარაჯი და ორი ხიშტიანი ჯარის კაცი. აუდიტორიები დაკეტილი იყო. სულ უნივერსიტეტში იყო ერთი როტა ჯარის კაცებისა და დარაჯთა ერთი რაზმი. ყველა საუნივერსიტეტო კლინიკებისა, ლაბორატორიებისა და სხვა შენობებშიც ასევე იყო. რადგანაც მეორე სართულში არ უშვებდნენ, ამიტომ სტუდენტობა შეიკრიბა დაბლა და შესავალში. აქ იყო 1500 კაცი და აქვე მოვიდა რექტორი ციტოვიჩიც და გამოუცხადა სტუდენტებს, რომ დღე მეცადინეობა არ იქნება, რადგან პროფესორთა საბჭოს კრებაა დანიშნული. სთხოვეს, კრებას გავმართავთო, მაგრამ რექტორმა უარი უთხრა, რადგანაც ამ ბოლო დროს გამართულმა კრებებმა დამიმტკიცა, რომ სხვა და სხვა მიმდინარეობის შეხლა სტუდენტობის შორის მოსალოდნელიაო. სტუდენტობამ მაინც თავისი არ დაიშალა და რექტორის წასვლის შემდეგ გამართა კრება: პირველად წაკითხულ იქმნა დადგენილება სტუდენტურ აღმასრულებელ კომიტეტისა: 1) შესწყვიტონ მეცადინეობა ტოლსტოის დაბადებამდე უნივერსიტეტში, 2) გაიგზავნოს ორი დელეგატი დასაფლავებაზე დასასწრებლად და 3) პატივი სცეს ტოლსტოის ხსოვნას გალობით „საუკუნოდ იყოს ხსენება შენი“ და შემდეგ მშვიდობიანად დაიშალნენ, რომ ტოლსტოის ბრწყინვალე სახელი არ შებღალონ პოლიციასთან შეტაკებით. გაისმა ამის შემდეგ გალობა „საუკუნოდ იყოს ხსენება შენი“, და ყველა სტუდენტობამ, უნივერსიტეტის მოსამსახურეებმა, ჯარის კაცებმა და დარაჯებმა, ყველამ ქუდები მოიხადეს. გალობის სამჯერ შესრულების შემდეგ სტუდენტობა დაიშალა და გამოვიდა გარედ. ქუჩაში მაინ შეეყარენ სხვა უმაღლესს სასწავლებლების მოსწავლენი და კვლავ იგალობეს „საუკუნოდ იყოს ხსენება შენი“, მაგრამ აქ ცხენოსან არტილერისტთა როტა ხმალ-ამოღებული იერიშით ეტაკა მათ და დაშალა. მიუბუქად დასჭრეს ოთხი სტუდენტი, რომელებიც საავადმყოფოში წაიყვანა „მსწრაფლმა საექიმო ეტლმა“. მთელი დღე უნივერსიტეტის მახლობელ ქუჩებში აუარებელი ხალხი იყო. პოლიცია და ყაზახები მათ ერეკებოდა. ორი უმაღლესს ქალთა კურსებზე მოსწავლე მოჰყვა ყაზახების ცხენების ფეხქვეშ და დაშავდა. ხალხი დაიშალა საღამოს 5 საათზედ. დაატუსაღეს რამდენიმე სტუდენტი.

ამავე დღეს მოხდა კრებები ქალთა უმაღლესს კურსებში, სადაც დაადგინეს, გაგზავნონ დელეგატი დასაფლავებაზედ დასასწრებლად და გაუგზავნონ სამგლოვიარო დეპეშა ტოლსტოის ოჯახობას; კომერციულ ინსტიტუტში, სადაც 2000 სტუდენტი შეიკრიბა, დაადგინეს გაგზავნონ ორი დელეგატი დასაფლავებაზედ დასასწრებლად და გაუგზავნონ სამგლოვიარო დეპეშა ტოლსტოის ოჯახს. ქალთა მედიკურ ინსტიტუტის დელეგატები დღეს უკვე წავიდნენ და წაიღეს თან გვირგვინი, ლ. ნ. ტოლსტოის კუბოს შესამკობად, ზედწარწერით: „სულის უკვდავ გენიას—კიევის ქალთა მედიკურ ინსტიტუტის მსმენელთაგან“; „ვინც სხვებზედ იმარჯვებს—ღონიერია, ვინც თავისს თავს სძლევს ყოვლის შემძლეა. ვინც სიკვდილის წინ იცის, რომ ის არ გადადის არარაობაში, უკვდავია“. ყველა სასწავლებლებში მეცადინეობა შეწყვეტილია.

დიდი კრება შესდგა სტუდენტებისა პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში. კრების გახსნისას თავმჯდომარემ წინადადება მისცა პატივი ეცათ ტოლსტოის ხსოვნისთვის ფეხზედ ადგომით. კრება სამარისებური სიჩუმით დგება, როგორც ერთი კაცი. კრებამ დაადგინა: გაგზავნოს 10 დელეგატი დასაფლავებაზედ დასასწრებლად; შეადგინონ ფონდი ტოლსტოის სახელობის სტიპენდიის დასაარსებლად პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში; შესწყვიტონ მეცადინეობა ინსტიტუტში მგლოვიარობის ნიშნად 8 დღის განმავლობაში და 7—16 ნოემბრამდე, ათი დღის განმავლობაში არ წავიდნენ თეატრებსა და სხვა გასართობ ადგილებში; დასდგან ტოლსტოის ორი ბიუსტი: ერთი პოლიტეხნიკუმის ბაღში, მეორე ფიზიკის აუდიტორიაში, და თვით ბაღს დაარქვან ტოლსტოის ბაღი; გაუგზავნონ დეპეშა ტოლსტოის ოჯახობას.

ამავე დროს ხდებოდა პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში პროფესორთა საბჭოს კრებაც დირექტორ, დემენტიევის თავმჯდომარეობით, ლ. ნ. ტოლსტოის პატივსაცემლად; პროფესორთა საბჭომ რამდენიმე დადგენილება მიიღო.

საბჭოს კრების გათავების შემდეგ დირექტორი, და მომეტებული ნაწილი პროფესორებისა შევიდნენ სტუდენტთა კრებაზეც, სადაც დირექტორმა გააცნო სტუდენტებს პროფესორთა საბჭოს დადგენილებანი. კრებამ დიდი მადლობა გადუხადა პროფესორთა საბჭოს და თავისი დიდი სიხარული გამოსთქვა, რომ ამ გვარი მტკიცე დამოკიდებულება და ერთსულოვნება არსებობს პროფესორთა და სტუდენტთა შორის საერთო მწუხარების დროს.

პროფესორთა საბჭოს კრება მოხდა აგრეთვე უნივერსიტეტშიც, რომლის საპატიო წევრადაც ჯერ ისევ 1884 წლიდგან ითვლებოდა ტოლსტოი. კრებას დაესწრო ყველა კიევში მყოფი პროფესორი. ტოლსტოის ხსოვნის ფეხზედ ადგომით პატივის ცემის შემდეგ, რექტორმა გააცნო, როდის და როგორ იქმნა არჩეული ტოლსტოი უნივერსიტეტის საპატიო წევრად და დაასურათა ის როლი და მნიშვნელობა, რაც ტოლსტოის ხვდა წილად რუსეთში და მთელს კულტურულ ქვეყნიერობაზედ. რექტორმა ამის შემდეგ წინადადება მისცა საბჭოს წევრებს გამოეთქვათ, თუ როგორ უფრო სამჯობინო იქმნება, რომ ღირსეულად სცენ პატივი მიცვალ ბულს. შეტანილ იყო რამდენიმე წინადადება

9 ნოემბერი მზიანი დღე გამოვიდა. წინა ღამის ყინვას ქუჩები სრულად მოემზრალებინა. დილიდგანვე უნივერსიტეტისკენ იწყეს დენა სტუდენტთა, ინტელიგენტთა და მუშათა ჯგუფებმა. მაგრამ ამათზედ უფრო ადრე აქ დაებანაკებინათ პოლიციელთა რაზმებსა, ყაზახების ასეულსა და ქვეითა ჯარს. უნივერსიტეტისაკენ არავინ არ გაუშვეს. ქალთა უმაღლეს კურსების ახლო მსმენელნი დგანან ჯგუფ-ჯგუფად. კურსებზედ შესვლის ნებას არ აძლევენ. ბოლოს მათმა უმრავლესობამ გასწია ფუნდუკლეევის ქუჩით უნივერსიტეტისკენ „საუკუნოდ იყოს ხსენება შენის“ გალობით. უნივერსიტეტთან მდებარე ქუჩებში აუარებელი მოსწავლე ახალგაზდობა და საზოგადოება შეიკრიბა. ყველას აინტერესებს სად იქმნება გადახდილი სამოქალაქო პანაშვიდი. ცხენოსანი პოლიციელნი და არყით დამთვრალი ყაზახები სცდილობენ დაფანტონ ხალხი და შეესივნენ მათრახებით, მაგრამ ხალხი ერთის მხრიდან მეორეზედ გადადიოდა. ხალხი ბოლოს შეჯგუფდა ოქროს-კარიანის ბაღჩაში. მოვიდა აქ დამცველ განყოფილების უფროსი და სთხოვა დაშლილიყვნენ. შემდეგ ყაზახებმა და პოლიციელებმა დაფანტეს ისინი, რომლის დროსაც ბევრი დაშავდა. ყაზახის ცხენმა წაქცია ორი ქალი, ვიდაც სტუდენტმა ჯოხი დაჰკრა ყაზახის ცხენს. ცხენოსანმა პოლიციელებმა და ყაზახებმა მათრახები იხმარეს. ბევრს სტუდენტს მათრახით სახეზედ წითელი ზოლი დააჩნდა და სისხლმა გადმოსჩქეფა. ასევე მოხდა ფრანსუას საკონდიტეროსთან, სადაც ცხენოსანი პოლიციელნი ერეკებოდნენ ხალხსა, და სიდაც აგრეთვე რამდენიმე პირი დაშავდა. მომეტებულად უდიერად მოიქცნენ სარდაფის მცირე ქუჩის ახლო, სადაც ყაზახები მათრახებით მიესივნენ ხალხს. ბევრმა სტუდენტმა მიიღო აქ ჭრილობა. სხვათა შორის ერთი ყაზახიც გადმოვარდა ცხენიდგან და მძიმედ დაშავდა.

ამავე დროს დილის 11 საათ. გამართეს პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში სტუდენტებმა გამართეს კრება, სადაც დასმულ იყო საკითხი სამოქალაქო პანაშვიდის შესახებ. აუდიტორია, სადაც კრება მიდიოდა, შემკული იყო თეთრ-შავის ბაირაღებით. შეიკრიბა მთელ ინსტიტუტის სტუდენტობა. კრების გახსნისას ტოლსტოის ხსოვნის ფეხზედ ადგომით სცეს პატივი. შემდეგ ფეხზედ მდგომარეთ იგალობეს სამჯერ „საუკუნოდ იყოს ხსენება შენი“. ორატორების მთელმა რიგმა უჩვენა აუცილებლობა და საჭიროება ტოლსტოის მოსახსენებელ სამოქალაქო პანაშვიდის გადახდისა. გადასწყვიტეს ჯგუფებად ასულიყვნენ უნივერსიტეტთან. კრების დახურვისას კიდევ იგალობეს „საუკუნოდ იყოს ხსენება შენი“. საათის ორზედ პოლიტეხნიკები შეუერთდნენ სხვა სტუდენტებს და თეატრის ახლო ფუნდუკლეევის ქუჩაზედ აუარებელი ხალხი შეიყარა, საიდგანაც გაისმა გალობა „საუკუნოდ იყოს ხსენება შენისა“. ყველამ ქუდები მოიხადა. ყაზახების ასეული მათრახებით მიესია მათ, მაგრამ გალობა მაინც არ შეწყვეტილა. ერთმა ნაწილმა სტუდენტობისამ იპოვა ამაღლებული ადგილი, საიდგანაც აღარ წავიდა და განაგრძობდა გალობას იმისდა მიუხედავად, რომ ყაზახები მიესივნენ მათ და უნდოდათ მათი გარეკა. ამ შეტაკების დროსაც ბევრი დაშავდა. დასჭრეს პოლიციელი, ერთი ყაზახიც ცხენიდგან გადმოვარდა, ფეხქვეშ მოჰყვა ცხენსა და ფეხი მოსტყდა. დაშავებულები საავადმყოფოში გაგზავნეს. შემდეგ ეს ჯგუფი, რომელშიაც 200 კაცამდე იყო დაატუსაღეს და საპოლიციო ნაწილში გაგზავნეს. დატუსაღებულებს უკან დიდ-ძალი ხალხი მისდევდა. კვლავ ისმოდა გალობა „საუკუნოდ იყოს ხსენება შენი“-სა. ხალხი დატუსაღებულებს მიჰყვა საპოლიციო ნაწილამდის, ხოლო აქ კი ისინი გარეკეს ყაზახებმა. დატუსაღებულებში მომეტებული ნაწილი პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტები არიან. ამიტომ პოლიტეხნიკური ინსტიტუტის დირექტორმა ინახულა დატუსაღებულნი და შემდეგ წავიდა მთავარ-მართებელთან, რომელთანაც იშუამდგომლა, რომ ისინი გაენთავისუფლებინათ. ღამის 11 საათზედ ზოგიერთების გარდა დატუსაღებულები გაანთავისუფლეს. ამავე დღეს ხალხიდგან გასროლილის ქვებით დაშავდა რამდენიმე ყაზახი და მათი აფიცერი. ხალხი დაიშალა მხოლოდ საღამოს ხუთს საათზედ, როცა უკვე დაბნელდა. დიდებულ მიცვალებულის დასაფლავებაზედ აუარებელი დელეგატი წავიდა კიევიდგან და უფრო მეტი კიდევ გაგზავნეს დეპეშები. ტელეგრაფის კანტორის ცნობით 9 ნოემბრის ღამის 11 საათამდე სამგლოვიაარო დეპეშების რიცხვი უკვე ხუთასამდე ავიდა. სხვათა შორის ქართველმა სტუდენტობამაც გაგზავნა სამგლოვიარო დეპეშა.

10 ნოემბერს უკვე სრულიად დაწყნარებული იყო ქალაქი, რასაც ხელი შეუწყო ცუდმა ამინდმაც—მთელი დღე წვიმა, სიცივე, თოვლი, ტალახი და თოვლჭყაპი იყო.

9 და 10 ნოემბერს ბევრი ექსკურსია წავიდა „იასნაია პოლიანაში“. ლ. ტოლსტოის საფლავის დასათვალიერებლად იმის და მიუხედავად, რომ ამინდი ამას ხელს სრულებითაც არ უწყობდა.

გ. ნამოარაძე.

ქუთაისის მომღერალთა საზოგადოება და მისი მტერ მოყვარენი.

ქუთაისის ქართველ მომღერალთა ნორჩ საზოგადოებას ჯერ-კიდევ ხეირიანად ფეხი ვერ მოუდგამს მისგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო და ამიტომ ყოველი შეგნებული ადამიანი ვალდებულია ამ ახალ კულტურულ დაწყებას გაუწიოს შეძლებისადაგვარად დახმარება დათანაგრძნობა. მაგრამ ზოგიერთი ბატონები, სამწუხაროდ, ამხედრდნენ ამ საზოგადოების წინააღმდეგ და ნაცვლად ძმურის სალამისა, მიეგებნენ მას დაუმსახურებელ ჭორებითა და ცილის წამებით. აი მაგ. „სახალხო გაზეთი“-ს მე-135 ნომერში (თეატრი და ცხოვრება) ქუთაისიდან რასა სწერს ბ. „ჯაფარ-ფაშა“ ვ. ფოცხვერაშვილის მიერ 14 ოქტომბერს გამართულ წარმოდგენა-კონცერტის თაობაზე: „დაჰპირდნენ, იმედი მისცეს საზოგადოებას ცნობის მოყვარეობა გაუღვიძეს და კონცერტის წინა დღით, ან უკვე რომ ვსთქვათ თვით კონცერტის საღამოს, ბ-ნ ფოცხვერაშვილს უღალატეს, ყელი გამოსჭრეს!“ ამ სტრიქონების წაკითხვის დროს ხელად კითხვა იბადება—ვინ დაჰპირდა, ვინ გამოსჭრა ყელი და ვინ უღალატა ბ. ფოცხვერაშვილს?, მაგრამ როცა ქვეით ჰკითხულობთ შემდეგ სტრიქონებს იმავე წერილში: „ააკრელა თვალები პაწია აფიშებმა უკვე შესდგა მამაკაცთა ხორო, ეხლა საჭიროა ქალების ხორო და მსურველთ ვიწვევთო; მერე სად იყო, რას აკეთებდა ეს უკვე შემდგარი გუნდი“-ო, —მაშინ აშკარად დანახავთ, რო ბ-ნ „ჯაფარ-ფაშა“-ს სახეში ქონია ჩვენი მომღერალთა გუნდი, რომელიც მართლა იძულებული შეიქმნა მოეწვია ხოროში ქალები ფურცლების საშუალებით, რადგან, ვიმეორებთ, ზოგიერთ მტერმოყვარის წყალობით ჯერ ხოროში შემოსვლას ქალები ყოყმანობდნენ. ამიტომ ჩვენ ქუთაისის ქართველ მომღერალთა გუნდის საზოგადოების გიმგეობა, რომ მკითხველმა საზოგადოებამ ბ. „ჯაფარ-ფაშას“ წერილის შემდეგ ჩვენ შესახებ არ იფიქროს, ვითომ ჩვენ და ბ. ფოცხვერაშვილის შორის სუფევს რამე „ანტაგონისტური“ დამოკიდებულება,—ვაცხადებთ შემდეგს:

ჯერ კიდევ ივნისში, როცა ბ-ნი ფოცხვერაშვილი ვიდაც რუსის არტისტებთან ერთად მართავდა წარმოდგენა-კონცერტს, მოგვმართა ჩვენ—მომღერლებს, დავხმარებოდით კონცერტზე 8—10 კაცამდე; ჩვენ, განვაცხადეთ სურვილი დახმარებისა, და უთხარით, რომ უკეთესი იქნებოდა წინ და წინ რამდენიმე დღით შეეტყობინებინა ჩვენთვის, რადგან ერთის რეპეტიციით და ისიც კონცერტის დღეს რამოდენიმე წამით, სცენაზე გამოსვლა ცოტა არ იყოს გვეჩოთირებოდა; მაგრამ რაკი კონცერტის ავკარგიანობა თვითონ ბ. ფოცხვერაშვილმა იკისრა, ჩვენის გუნდიდგან 10 კაცის ნაცვლად 30 კაცამდე მოვიდა დანიშნულ-დროზე, ე. ი. 1 საათზე თვით კონცერტის დღეს თეატრის კარებთან და მიეგებნენ ახალგაზდა მემუსიკეს, რომლის გამხნევება უნდოდათ ძმურის თანაგრძნობით, რადგან წინა დღით ფოცხვერაშვილმა შემოგვჩივლა ტფილისის ფილარმონიულ საზოგადოების გულცივობასა და გადაშტერებაზე (რომდენად მართალია, არ ვიცით). ასე რომ ჩვენ მზად ვიყავით დასახმარებლად. მხოლოდ რაღაც საუბედუროდ ფისგარმონია არ აღმოჩნდა შესაფერისი, ზოგი ფოცხვერაშვილმა დაიწუნა, ზოგიც დაკეტილ ოთახებში დარჩა, რადგან პატრონები ქუთაისში არ იყვნენ. ორი საათის ცდის შემდეგ თვით ფოცხვერაშვილმა გამოაცხადა, საკონცერტო განყოფილებაში ხოროს სხვა ნომრით შევცვლი და შეგიძლიანთ წაბრძანდეთო. როცა მომღერლები უკვე დაიშალნენ, და თავ-თავიანთ სახლში წავიდნენ, თურმე აღმოჩნდა სადღაც პიანინო იყო თუ ფისგარმონია, მაგრამ გვიან-ღა იყო; ასე რომ შეიძლება ბ-ნმა კორესპონდენტმა აქაც მოღალატე გვიწოდოს... თუ რამდენად ჩვენ აქ დამნაშავე ვართ, დეე, საზოგადოებამ განსაჯოს.

ახლა დასამტკიცებლად იმისა, რომ 14 ოქტომბერს, არც ყელი გამოგვიჭრია ბ-ნ ფოცხვერაშვილისათვის, არც გვიღალატნია და მასთან კონცერტის უფერულობაც ჩვენის ხოროს ბრალი არ იყო, მოგახსენებთ შემდეგს: ბ-ნ ფოცხვერაშვილს წარმოდგენა-კონცერტი ჰქონდა დანიშნული 14 ოქტომბრისთვის, ხოლო ჩვენის საზოგადოების გამგეობას მიჰმართა მხოლოდ 9 თუ 10 ოქტომბერს, რაღა კონცერტზე დაეხმარებინა ხოროო, რომელსაც სცენაზე გამოყვანას უპირებდა ორის რეპეტიციის შემდეგ. ჩვენის საზოგადოების გამგეობამ მიიღო მხედველობაში—ჯერ ერთი, ხოროს საკმაოდ მოუმზადებლობა, მეორე — ორის რეპეტიციით პირველად სცენაზე გამოსვლის შეუძლებლობა, და გადაჭრით უარი უთხრა ფოცხვერაშვილს კონცერტში დახმარება ჩვენის მომღერალთა საზოგადოების სახელით; მასთან ისიც დავსძინეთ, რომ თუ ვინმე ჩვენის ხოროდან კერძოდ მონაწილეობას მიიღებდა, გამგეობას საწინააღმდეგო არაფერი ექნებოდა. ეს იყო და ეს. ამგვარად ვინ დაჰპირდა ფოცხვერაშვილსა, და ვინ მოატყუა, ჩვენ არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში ხოროო საზოგადოების სახელით არ შეჰპირებია და არც მონაწილეობა მიუღია, და თუ ვინმემ მოატყუა, ამას კერძო ხასიათი უნდა მიეცეს. თუ კი ბ-ნი „ჯაფარ-ფაშა“ გვიწყრება იმიტომ, რომ მომღერალთა საზოგადოების სახელით რათ მივიღეთ მონაწილეობა ფოცხვერაშვილის კონცერტში, ამაზე მოვახსენებთ შემდეგს და იმედია, თვით საზოგადოებაც დაგვეთანხმება: ვინც ცოტად თუ ბევრად დღევანდელ ჩვენს გაზეთებს თვალყურს ადევნებს, ძალაუნებურად წაიწყდება ერთსა და იმავე ჰანგზე ჩვენებურ „რეცენზენტები“-ს ღაღადისს: „წარმოდგენა (ანუ კონცერტი) უფერული იყო, არტისტები მოუმზადებლები იყვნენ, ამიტომ გასაკვირველიც არ არის, თუ ჩვენი საზოგადოება გულგატეხილია და ჩვენ თეატრს ავერდს უხვევენ“ და სხ... ანუ და თვით ბ. „ჯაფარ-ფაშა“ როგორც სწერს ფოცხვერაშვილის კონცერტზე: „არ ვარგოდა ხოროო, ნაძეტნავად ქალები, ზოგი მათგანი კი არ მღეროდა—ყიოდა“ და სხ...

აი, სწორედ ასეთივე „კომპლიმენტი“ ჩვენს ნორჩ საზოგადოებას რომ არ დაემსახურებინა, ყველამ ერთხმად გადავსწყვიტეთ: სანამ ხოროო ბევითად არ შეისწავლის რამდენსამე სიმღერას, მანამ არ გამოვიდეს სცენაზე. აგრეედვე მოვაგონეთ ბ-ნ რეცენზენტს, რომ ქალები ხოროში სრულიად არ ყოფილან და გვინდოდა კაგვეგო, რომელი ქალები ყოფილნენ. ჩვენ გვგონია, რომ ჯერ საქმეს გაცნობა უნდა და მერე მაზე მსჯელობა.

ლობა. გარდა ამისა, გვინდა გავიგოთ თუ რაში გამოიხატება ჩვენგან ღალატი, თუ კი ერთი ჩვენი გამგეობის წევრთაგანი, როგორც თვით რეცენზენტმა აღნიშნა, ს. შენგელია, მონაწილეობას ღებულობდა? ქ-ნი შარაბიძისა, რომელიც ჩვენის საზოგადოების წევრია, მზად იყო სოლოების სამღერლად, აგრედვე რამდენიმე ჩვენი მომღერალთაგანიც ღებულობდნენ მონაწილეობას, და თუ იმ საღამოს სცენაზედ არ გამოვიდნენ, ეს იმისი ბრალია, რომ ორკესტრი ვერ შესდგა. ამასთანავე ვაცხადებთ, რომ არასფერი საერთო ორკესტრთან ჩვენს ხოროს არა აქვს და თუ ხოროს ჩაშლა ორკესტრის მიზეზია, ჩვენ რაღა შუაში ვართ? იქნება ჩვენმა წევრებმა წინდაწინ ინსტიქტიურად იგრძნეს, რომ ბ-ნი „ჯაფარ-ფაშა“, რომელმაც „ქალებს“ მისძღვნა „კომპლიმენტები“—ყიოდნენო, —კაცებს—ჩვენს წევრებს მისთავაზებდა—„ბლაოდნენ“-ო და სხვა!.. ვიმეორებთ, ჩვენ ვერ გაგვიგია თუ რაში გამოიხატება ჩვენის საზოგადოების მიერ ღალატი ფოცხვერაშვილისადმი.

თუ ნამდვილი სიმართლე გინდათ გაიგოთ, ბ-ნ ფოცხვერაშვილმა თვითონ ულალატა თავის თავს, რადგან მას ყოველთვის მარტო ერთი და ორის რეპეტიციით უნდა გამოიყვანოს სცენაზე ხორო, რომელიც ჯერ ნოტებში თამაში არ არის, და ამიტომაც საწყალი ხორო უხვად ღებულობს ქებათა შესხმას: „ყოოდა, ბლაოდა და სხ. ხოლო ბ-ნი ფოცხვერაშვილი განზე რჩება. ბ. ფოცხვერაშვილის მუსიკალურ ნიჭს არავინ ეხება, კიდეკაც ვაფასებთ და მზად ვართ, რითაც შეგვიძლიან დავეხმაროთ, მხოლოდ არ შეგვიძლიან არ ვუსაყვედუროთ შემდეგი: ბევრხანს რუსეთში ყოფნის დროს, სადაც მას საქმე აქვს დახელოვნებულ და მომზადებულ ხოროსთან, რომელიც ნოტებს „მამაოჩვენოსავით“ ჰკითხულობს,—დავიწყებია ჩვენის მომღერლების სისუსტე ნოტებში და შეუძლებლობა ორის რეპეტიციით სცენაზე მათ გამოყვანისა. კიდეც ამიტომ ვხედავთ ხშირად სცენაზე მხოლოდ მას, ფოცხვერაშვილსა, და ხოროს კი არა; ასეთი მისი სარდლობა უჯაროდ ბევრ ხანს გასტანს, თუ კიდევ ყურადღება არ მიაქცია ადგილობრივ ხოროების სინორჩესა და სისუსტეს...

რაც შეეხება იქ ფრაზებს ფოცხვერაშვილისას, რომელიც ბ. ჯაფარ-ფაშა იმეორებს გაზეთის ფურცლებზე: „პროგრამმა ვერ შეავსო“ულე, რადგანაც ჩვენში ვინც კი ნახევრად მრავალ-ჟამიერს ისწავლის თავი დიდებულ მომღერლად მოაქვს და რომ-ბივით იბერებაო“,—ამაზე მოგახსენებთ: ჩვენ რომ რომბივით არ ვიბერებით იქიდან სჩანს, სხვათა შორის, რომ „ნახევარ მრავალ-ჟამიერის“ ცოდნით სცენაზე არ გამოვედით... აგრედვე ბ. ჯაფარ-ფაშა“-ს ირონიაზე, რომლითაც იგი ჩვენს ხოროს შეეხო. როგორც მაგ.: „აეჩრელა თვალები პაწია აფიშებმა; „უკვე შესდგა მამაკაცთა ხორო, ეხლა საჭიროა ქალების ხორო და მსურველთ ვიწვევთო“, მერე სად იყო, რას იკეთებდა ეს უკვე შემდგარი გუნდიო?“—ყველა ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ რეცენზენტს, რომ სცენაზე გამოსასვლელად მარტო ხოროს დაარსება არ არის საკმარისი, **არამედ** საჭიროა სწავლა და ბეჯითი მომზადება, რისთვისაც აუცილებელია დრო, ადგილი და ძრავალ გვარი საშუალებანი, რომელთაც საშწუხაროდ მოკლებულნი ვიყავით ამ თკანასკნელ დრომდე. და თუ ვისმე მართლა აინტერესებს, რას აკეთებდა ჩვენი ხორო, ამაზე პასუხის მიცემა ცოტა ნაადრევად მიგვაჩნია, რადგან იმედი გვაქვს, მალე თვით საქმე დაანახვებს ყველას, თუ რას შვრებოდა მისი დამწყები და მერე მეთაური.

ქუთაისის ქართულ მომღერალთა გუნდის გამგეობა.

უცხოეთი

პორტუგალიის რესპუბლიკა განსაცდელშია.

პორტუგალიის ნორჩს რესპუბლიკას უკვე შავი უკვალი დასჩხავის თავს. დროებით მთავრობის კანონმდებლობითი მუშაობა, რომელიც დიდის ერთსულოვნობითა და ენერგიით დაიწყო, დღეს ძალიან შეფერხებულია. ახლ რეჟიმის წინააღმდეგ ხმა ადამიანდა არა მარტო აქა იქ ზოგიერთმა პირმა, არამედ საქმე იქამდე მივიდა, რომ ცხადი უთანხმოება გამეფდა დროებით მთავრობასა და რევოლუციურს კომიტეტს შორის, რომელმაც მოახდინა რევოლუციას. ამ კომიტეტის წევრთა დედუკციამ გადაჭრით მოსთხოვა ახლ მთავრობას, სახელმწიფო თანამდებობანი მხოლოდ იმ პირთ მიეცით, რომელთაც რევოლუციაში აქტიური მონაწილეობა მიიღესო. ამას გარდა კომიტეტის ერთმა შეთაურთაგანმა, სანტო მაშადომ გაზეთი გამოსცა, რომელშიაც სასტიკად იდაჰქრების ახალს მთავრობის წინააღმდეგ.

ამას გარდა ჯარში საოცრად იზრდება უკმაყოფილება დროებით მთავრობის მიმართ. ჯარის უკმაყოფილებას იმითი ჭსნიან, რომ დროებითმა მთავრობამ დღემდე ძალიან ნაკლები უურადღება მიაქცია საომხედრო პირებს, რომელთაც რევოლუციაში მონაწილეობა მიიღეს.

ამბობენ, საომხედრო პირნი დროებითს მთავრობას შეიქმუდობას უმზადებენო.

ამ რიგად, პორტუგალიის ახალი რეჟიმი საშიშ რეუეაშია და ამას ადარაგინ მადასტურებს. ასეთივე აზრი გამოუთქვამს, მადრიდიდან მიღებულ ტელეგრამით პრემიერს კანადესასს სეუიდიაში, საომხედრო დეპესაწყუდზე, რომელსაც მეფეც დასწერია. კანადესასს პირდაპირ განუცხადებია, რომ პორტუგალიის ახალ რეჟიმის სიმტკიცეს საეჭვოა, რადგან რეფორმების ჩქარა და თამამად მოხდენა მუდამ საშიშია.

ეს სიტუაციები უკვე მართდებენ. დასაბოხიდან შიღებულ ტელეგრამით, 11 ნოემბერს დროებით მთავრობის წინააღმდეგ კომბრში რეფოდუციის მონაწილეთ დიდი დემონსტრაციი გამართავთ.

არეულობა ესპანიაში.

დეთონის ჩამომსხმელ მუშათა გაფიცვა ძალიან გაძლიერდა. გაფიცულია 8.000 მუშა. მუშების წინააღმდეგ მთავრობა მეტად სასტიკს ზომებს ხმარობს. გენერალ-კაპიტანმა ფულიერმა გამოსცა ბრძანება, რომ მუშების წინააღმდეგ ტეკვიით იმოქმედონ, თუ მთ რაიმე უწესობების ჩადენა გაბედეს. ამ ზომებმა ხალხი ძალიან აშფოთა. ბარცელონის უნივერსიტეტშიც დიდი მდელვარება გამოწვია სტუდენტთა შორის. 11 ნოემბერს ბარცელონის საქალაქო თეატრში სტუდენტებმა და მუშებმა აურ ზურიანი მიტინგი გაართეს.

დეთონის ჩამომსხმელ მუშათა გარდა გაფიცულნი არიან ნავთსადგურის მუშები ბილბაოში, ანდალუზიაში. მათ მიეუხრნენ მადრიდის მუშებიც. გაფიცულნი ქალაქში დაიარებიან და მადზიებს ძალით აკეტვინებენ, გაზეთები არ გამოდის. მთავრობამ კადიზიდან ჯარი გამოიწვია.

ამბოხება მექსიკაში.

მდელვარება მექსიკაში უკვე გადიქცა საერთო ამბოხებად, რომელიც მიმართულია ძველის რეჟიმის წინააღმდეგ. როგორც მექსიკიდან დონდონში მიღებულ ტელეგრამიდან სჩანს, მეამბოხეთა გაერთიანებამ მეთაურთაგანმა მადერომ თავის თავი დროებით მთავრობის პრეზიდენტად აღიარა და გამოსცა ინსტრუქციები უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომების სიცოცხლისა და ბინების დაცვის შესახებ.

მექსიკაში მეოფი ამერიკის დესპანი გუინგტონში დეპეშით ატყობინებს რომ მეამბოხეთ ხელთ ჩაიგდეს ქალაქები გომეცი და დურანგო, მაგრამ უკვ ქცეულ იქმნენ; იერიში მიიტანეს ბრეკდეგ ბრრაზეზე, მაგრამ იქაც უკვ ქცეულ იქმნენო.

გვერრეროსა და კამარგოში მეტად ცხარე ბრძოლა, რომლის შედეგიც კამეურკვევლია.

თვით მადერო ჩიხუახუაში იმეოფება 600 მეამბოხით და ორი ზარბაზანი აქვს. მეამბოხეთა რაზმი ყოველს საათს ცხადად ძლიერდება. ახლანდელი პრეზიდენტი დიაზი მეტად საშიშს მდგომარეობაშია.

ყველგან კეკრულია ფურცლები წარწერით: „სტეფეთ დიაზსა და მის მომხრეთო“.

ამბოხება ძალიან გაძლიერდა. მეთაურობენ ახლგაზრდა მექსიკელნი, რომელთაც განათლება ამერიკასა და ევროპაში აქვთ მიღებული. მეამბოხენი თხოულობენ ნამდვილ დემოკრატიულს მართვა-გამგეობას, ნატვლად დიაზის ნიდაბ ათვარებულ დესპოტისმისა.

დიაზი თავის მხრით ყოველ ზომებს ხმარობს მეამბოხეთა წინააღმდეგ. პრეზიდენტი, რომელიც მერველ იყო არჩეული, ამ თანამდებობაზე მეამუდეთა დახმარებით, ისე ადვილად იარაღის დაყრას არ ანებებს.

უკანასკნელ ცნობებით, დიაზის ჯარი ნელ ნელა იმარჯვებს. მეამბოხეთა ხელში მარტო ჩიხუახუა და ანის. ერთხანად გაგრძელებული ხმა დიაზის მოკვდა-ს შესახებ, მართალი არ გამოდგა.

დონდონში კი უკანასკნელად მექსიკის საელჩომ შემდეგ ცნობა მიიღო: მექსიკაში მშვიდობიანობა ჩამოყარდა და ყველგან წეს-რიგი დამყარდა, გარდა ჩიხუახუასი, რომელიც კვლავ მეამბოხეთ ხელშია.

საპასპორტო სისტემის გაუქმება ოსმალეთში.

ამ დღეებში ოსმალეთის პარლამენტმა თავის წევრთა ერთს სხდომაზე დაადგინა, გაუქმდეს მთელს ოსმალეთში პასპორტების მოთხოვნისა და გაცემის სისტემა.

სასამართლო

თავ. გიგო ერისთავის მკვლელობა.

ტფ. სამხედრო სასამართლოში 15 და 16 ნოემბერს ირჩეოდა აზნაურ ქალის მაკრინე დაფქვიაშვილისა და ტიმოთე კაპანაძის საქმე, რომელთაც ჰბრალდებოდათ თავად გიგო ერისთავის მკვლელების დაფარვა. საქმე ამნაირად ყოფილა.

3 აპრილს 1910 წ., შუადღისას გორის მაზრის, სოფელ ფლავში, ადგილობრივი მემამულე თავადი გიორგი ერისთავი წასულა თავის ზვარში, რომელიც იმყოფება 300 ნაბიჯზე სახლიდან. ზვარში თავადი ამუშავებდა გლეხებს. როდესაც თავადმა მისცა საჭირო განკარგულება, უნდოდა დაბრუნებულიყო სახლში; გამოიარა ნახევარი გზა ბალისა და როგორც მიუახლოვდა დანგრეულ მარანს, ასტყდა სროლა ღობის გარედან, რის შემდეგაც თავადი დაეცა ძირს. მკვლელები, 6 შეიარაღებული კაცი გადმოხტნენ ღობეზე და დაუწყეს სროლა წაქცეულს თავადს, შემდეგ მივიდნენ გვამთან და აქაც რამდენჯერმე ესროლეს. ამის შემდეგ მკვლელებმა დაიწყეს მოკლულ თავადის ჯიბეების ჩხრეკა. აქ რომ ვერა იპოვნეს-რა, გაემართნენ სახლისაკენ. ოთხმა შეიარაღებულმა წაასხა ზვარში მომუშავე გლეხები და მიიყვანა თავადის სახლში. დანარჩენი ორი შეიარაღებული კი გაეშურა სახლისაკენ; ამათთან წაიყვანეს მოხუცი მოსამსახურე თავადისა, ნიკო ვალიშვილი. სახლში ყაჩაღებმა ვალიშვილს სთხოვეს გასაღებები დაკეტილ ოთახებისა. ვალიშვილმა განაცხადა, რომ გასაღები ბატონს აქვსო. ამის შემდეგ მკვლელებმა ძალით გასტეხეს კარები და ისე შევიდნენ ოთახებში, სადაც დაიწყეს ჩხრეკა, გასტეხეს საწერ მაგიდის უჯრა, ამოიღეს ფული და ვექსილები, წაიღეს აგრედვე თოფი, რევოლვერი, ორი აფიცრის პალტო, ხმალი და სხვა ნივთები. შემდეგ მკვლელებმა, თავადის ბოსლიდან, გამოიყვანეს ცხენები და შეკაზმეს კიდეც. ამავე დროს ორმა მათგანმა კიდევ ერთი ცხენი მოიყვანა სოფლიდან, როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს ცხენი ყოფილა მაკრინე დაფქვიაშვილისა. ყველა ამის შემდეგ მკვლელები გაეშურნენ მთისკენ. როგორც მნახველები ამოწმებენ, ხუთს მათგან სცმია ჩერქეზულად; ერთი კი ჯარის კაცის მაზარაში ყოფილა და თავზე რკინის გზის მოხელის ქუდი ჰხურებია. ამ უკანასკნელს დაუტოვებია თავისი ტანისამოსი ზვარში, ჩაუცვამს თავად ერისთავის აფიცრის ტანისამოსი და ისე წასულა. შეიარაღებული ყოფილან ისინი ბერდანებით „ვინტოვკებითა“ და რევოლვერებით. მკვლელები ლაპარაკობდნენ რუსულად, ქართულად და ოსურად. ესენი გავიდნენ ჰანდიანთ-კარში, ღამე გაათენეს ამ სოფელში. აქედან გადავიდნენ ქედისწყაროიდან სოფელ წაბლოვანში; აქ ჩამოხტნენ ტიმოთე კაპანაძესთან. დილით, გათენიადზე, როდესაც მკვლელებმა შეატყეს, რომ მათ დასაჭერად მოვიდა მამასახლისი დარაჯებით, მოემზადნენ გასაქცევად. მოუხდათ შეტაკება დარაჯებთან, მაგრამ არც ერთი მხარე არ დაზიანებულა მკვლელები გადავიდნენ მთაზე, შორაპნის მაზრის საზღვაზე და იქ მიიმალნენ.

კაპანაძის სახლში ნახეს ლოგინი, მომზადებული ყაჩაღებისათვის, აფიცრის პალტო ეპოლეტებით, პატრონები, პასპორტი ხარბალაძის სახელზე და ერთი ბერდანა, ეზოში ნახეს ოთხი ცხენი. ამის გარდა ორი ცხენიც მეზობლის ბოსელში.

ივნისში მეჯვრის ხევის ბოქაულმა, დავით ქარუმიძემ შეიტყო, რომ ვიდრე მოჭკლავდნენ თავადს გიგო ერისთავს, მკვლელნი იმყოფებოდნენ მაკრინე დაფქვიაშვილისას. ეს გარემოება ბოქაულ ქარუმიძისათვის შეეტყობინებინა შაშიტაშვილის ქალს. როდესაც შაშიტაშვილს ჩვენება ჩამოართვეს, მან განაცხადა: მკვლელობის წინა დღეებში ავაზაკები იმყოფებოდნენ მაკრინე დაფქვიაშვილთან და ეს უკანასკნელი მასპინძლობას ეწეოდაო. შაშიტაშვილმა აგრედვე განაცხადა, რომ დაფქვიაშვილმა ვახშამზე ჩვილი დაიწყო, გიგო ერისთავი ძალიან მავიწროვებო, ავაზაკები დაემუქრნენ თავადს და სთქვეს, რომ იმისი დღეები დათვლილიაო. ამის შემდეგ ავაზაკები წავიდნენ ბოსელში დასაძინებლად. მეორე დღეს მოჰკლეს თავადი გიგო ერისთავი.

ბოქაულ ქარუმიძის მოწმობით, მაკრინე დაფქვიაშვილს ჰქონდა საბუთი, რომ მოეკვლევინებინა გიგო ერისთავი, რადგან ამ უკანასკნელმა წაართვა საქონელი.

ზემო მოყვანილმა საბუთებმა საშუალება მისცეს სასამართლოს დაესვათ დამნაშავის სკამზე აზნაური მაკრინე დაფქვიაშვილისა და ტიმოთე კაპანაძე.

ჩვენების ჩამორთმევის დროს კაპანაძემ განაცხადა, რომ იყო ჩემთან ექვსი შეიარაღებული კაცი; მოვიდნენ დამე გადაცმულ ტანისამოსში, ერთმა მათგანმა განაცხადა, რომ ბოქაული ვარო; ხვალ დილით უნდა დარაჯებით სოფელი დავათვალიერო, და მეც ბინა მივეცი. აი ჩემი დანაშაულიო.

მაკრინე დაფქვიაშვილისამ განაცხადა, რომ არავითარი ავაზაკები ჩემთან არ ყოფილან, და მე ეს დამბრალა შაშიტაშვილმა, რომელიც ჩემი მოსიძულე მტერიაო. მხოლოდ მკვლელობის დღეს ორი შეიარაღებული კაცი მოცვივდა და წაიყვანეს ჩემი ცხენიო.

სასამართლომ დამნაშავედ იცნო ტიმოთე კაპანაძე და მიუსაჯა მას თექვსმეტის წლით კატორგა.

მაკრინე დაფქვიაშვილი კი სასამართლომ გაამართლა.

მაკრინე დაფქვიაშვილს იცავდნენ ნაფილი ვექილის თანაშემწენი: რევაზ ყანჩელი დაშალვა მესხიშვილი.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. სამშაბათს, 16 ნოემბერს, ქართულ თეატრში, დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრის შ. ა. მიქელაძის გამგეობით, გაიმართა სალიტერატურო საღამო-მეჯლისი. საღამოს დასაწყისში, ბ-ნმა კიტა აბაშიძემ წაიკითხა შინაარსიანი ლექცია ალ. ჭავჭავაძის პიესის შესახებ. ლექტორი ცდილობდა დაერღვია ის ფრიად გავრცელებული აზრი, ვითომ ალ. ჭავჭავაძე მხოლოდ არშიყობისა და ღვინის მოტრფიალე მწერალი იყოს. ლექტორი შეეხო ევროპის რომანტიზმსა და მის გამომწვევ მიზეზებს, თუმცა ჩვენის წარმოდგენით, ძალიან მკრთალად დაახასიათა რომანტიზმი, და მერე გადავიდა ქართულს რომანტიზმზე, რომლის წარმომადგენლადაც, ალ. ჭავჭავაძე მიაჩნია. ლექტორი გვიმტკიცებდა, რომ ლხენა და არშიყობა ალ. ჭავჭავაძისთვის თავის-თავად მიზანს არ შეადგენდა, ღვინოს იმიტომ ეტრფოდა, რომ მასში თავის დარდსა და კაეშანს იკლავდაო. მიზეზს ამ კაეშანის ავტორი იმ დროინდელ ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებისა და აზრის გაურკვევლობასა და სიდუხჭირეში ხედავსო, ლექცია შინაარსიანი იყო, მხოლოდ უფრო უკეთესი გამოვიდოდა, რომ თავისი აზრი ალ. ჭავჭავაძის ლექსებიდან ამოღებულ ციტატებით დაემტკიცებინა, მაშინ უფრო ცხადი შეიქმნებოდა მსმენელთათვის სიმართლე ლექტორის აზრისა.

ლექციის შემდეგ მსახიობებმა წარმოგვიდგინეს მეცხრამეტე საუკუნის მგოსნები ცოცხალ სურათად. მაყურებლის თვალწინ გადაიშალა პანთეონი ქართველ მწერლებისა. ყველა პოეტების განმარტოვებით იჯდა შოთა რუსთაველი. მშვენიერი მიმგზავსება ჰქონდა ვას. აბელიანს. თუმცა სხვებიც საკმაოდ კარგად გადმოგვცემდნენ მწერალთა სახეს. მსახიობებმა წაიკითხეს პოეტების წარმოებანი ლიტერატურულ-ვოკალური განყოფილებაც საკმაოდ შინაარსიანი აღმოჩნდა. კარგი საპირ-ბოროტო კუპლეტები წაიკითხა დ. მესხმა. საღამოში მონაწილეობას იღებდნენ აკაკი, ვაჟა-ფშაველა და ბაჩანა, რომელთაც საზოგადოება განსაკუთრებით კი მოსწავლე ახალ-გაზდობა. აღტაცებულის ტაშის ცემით მიეგება.

საღამოს შემდეგ ითამაშეს დ. კლდიაშვილის ერთ-მოქმედებიანი კომედია „დარისპანის გასაჭირი“. კომედიამ მხიარულად ჩაიარა № 65.

განცხადებანი

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და ხიფილავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7საათ. დუბშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—227

ხილეულობის, ხელოვნური მინერალური და სამკურნალო წყლები
ი. ლალიძისა და ამხ.
მზადდება მხოლოდ გუნებრივ, ძიმიურად დაწმენდილ, ხილის წვნითა და საუკეთესო ხილეულის შარბათით, გამოხდილის წყლითა და წმინდა შაქრით.
წყალი მზადდება გაუმჯობესებულ მანქანებით სპეციალისტის მუდმივის ხელმძღვანელობით.
წყლების კარგი ღირსებისათვის ქარხანა დაჯილდოვებულია ოქროსა და ვერცხლის მედლით.
ქარხანები: ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე ტელეფ. № 411. ქუთაისში, პუშკინის ქუჩაზე. (20—139—12)

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოევ ს მრეწველობისა
სალიანის თევზთ მრეწველ. და მოვაჭრეთ
ძმ. ძეგველოვების
მაღაზია
პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის
ახალ-ახალი
ანატრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარანდანა).
ზიზილალა
ახალი, (Зернистая).
პარკისა და კოლოფებით
საუკეთესო დოშები და ზურგიელები
მიღებულია ღვინის ორაგული (სიომგა)
და წითელი ხიზილალა (Кетовая). (წ.—128—32)
ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.

ვართან ლისიციანი
დავალებით აცხადებს, რომ
საბურთალოზე გასასყიდია ადგილები
ფულს ვიღებ მხოლოდ მე, და სხვა ვისიმეს კვიტანციას ძალა არა აქვს.
(2—222—1)

პოლტავის საადგილ მამულო ბანკის
მთავარი აგენტი
(ელისავეტპოლისა და ერევნის გუბერნიებისათვის)
ამით პატივისცემით საყოველთაოდ იუწყება, რომ სხვა და სხვა პირობების მესაკუთრეთ (გრძელ-ვადიანისა, მოკლე-ვადიანისა თე სხვა-გვარ ხესხის ასადებად) და განცხადებათა მისაღებად, პირდაპირ მიმართონ ხოლმე ამთავრესს აგენტს ვილიამინოვის ქუჩა, N 6, ალექსანდრე სერგეის ძე ნოვიცკის. (4—177—4)

ტანისამოსის მკერავი
ი. ნ. სვანიძე
ტფილისი, ფოსტის ქ., სახლი ზუბალაშვილისა, № 6.
ამით აუწყებს თავის პატივცემულ შემკეთებლებს, რომ სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა მოხელეთა ფორმის ტანისამოსისათვის რუსეთისა და საზღვარ-გარეთის განსაკუთრებით სახელ-განთქმულ ფაბრიკებისაგან შეეძინა დიდძალი მაუდეულობა. ყველა ტანისამოსს ჰკერენ გამოცდილი ხელოსნები
ჩემის ხელმძღვანელობით
ყველა დაკვეთილი ტანისამოსი იკერება სუფთად და კეთილ სინდისიერად. (20—127—13)

საოჯახო ნომრები
ტფილისში
ქალაქის შუა ადგილი, ელისაბედის ქუჩა, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, სახლი ძმ. მილოვისა № 1. ოთახები ნათელი და მშრალი, თბილი კარიდორებით. მოსამსახურეთ ქალები და კაცები; განათებული ელექტრონით. ნომრები ორ-ორი ოთახებიდანაც არის.
ფასი: 60 კაპეიკიდან 2 მანეთამდე; თვიურებს დაეთმობათ.
(30—181—9) პატრონი ნომრებისა ს. მუმცელიძე.